1920

1960

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი | №132 (11743) | სამშაბათი, 7 ივნისი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

ჩვენი რესპუბლიკის დღე

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მივესალმება თავის მებრძოლ ორგანოს გაზეთ „კომუნისტს“ დაარსების სახელოვანი 40 წლისთავის გამო.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ერთგული თანაშემწე — გაზეთი „კომუნისტი“ აქტიურად რაზმავდა მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობასა და ინტელიგენციას სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანების გადაჭრისათვის, დაუცხრომლად ეწეოდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური იდეების პროპაგანდას, ზრდიდა მშრომელებს სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის სულისკვეთებით.

გაზეთი „კომუნისტი“ ქმედითად ეხმარება საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, იმ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში, რომლებიც რესპუბლიკის წინაშე დასახულია შვიდწლედში, განაზოგადებს კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების მოწინავე გამოცდილებას, ხელს უწყობს მეურნეობისა და კულტურის დარგში ახალ გამარჯვებათა მოპოვებას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ღრმა რწმენას გამოთქვამს, რომ გაზეთი „კომუნისტი“, რომელიც ერთგულად აგრძელებს საბჭოთა პრესის პარტიულობისა და მასობრიობის ლენინურ ტრადიციებს, კვლავაც აქტიურად დარაზმავს რესპუბლიკის მშრომელებს კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

საქართველოს სკპ ცენტრალური კომიტეტი

თბილისი, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

„პრავდის“ სარედაქციო კოლეგია გულითადად ულოცავს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის კოლექტივს, მუშა და სოფლის კორესპონდენტებს, მკითხველებს გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლის მეორმოცე წლისთავს. გისურვებთ ახალ წარმატებებს მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, საბჭოთა საქართველოს მშრომელების კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. დაუცხრომლად იბრძოლეთ სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მთელი ძალღონე მოახმარეთ შვიდწლიანი გეგმის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, მშრომელთა აღზრდას კომუნიზმის სულისკვეთებით, ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა ძმური მეგობრობის სულისკვეთებით, გააძლიერეთ გაზეთის როგორც სახალხო ტრიბუნის, კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და მასების ორგანიზატორის როლი, ყოველდღიურად განამტკიცეთ გაზეთის კავშირი მასებთან, უფრო ფართოდ მიიღებინეთ პრესაში მონაწილეობა წარმოების ნოვატორებს, სპეციალისტებსა და მეცნიერებს, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაკებს, სახალხო მეურნეობის საბჭოების, საწარმოებისა და მშენებლობების მუშაკებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, გააჩაღეთ პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა. სულით და გულით ვუსურვებთ გაზეთ „კომუნისტს“ შემოქმედებითის წარმატებებს კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

„პრავდის“ სარედაქციო კოლეგია

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია 1960 წლის 24 ივნისს ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1960 წ. 6 ივნისი.

უპასუხებენ სამშობლოს

◆ **ზუგდიდი.** (საკ. კორ.). სოფელ ნარაზენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ჩაის ფოთლის კრეფის მაისის დავალება 30 მაისს შეასრულა, მოკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარა 88.354 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, რაც თვიური გეგმის 100,3 პროცენტს შეადგენს.

სოფელ აბასთუმნის ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა 29 მაისს შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის მაისის დავალება.

კოლმეურნეობაში ფართო გამოხმაურება ჰპოვა მახარაძელი მეჩაიის ნაირა გოგატაძის თაოსნობამ. სულიკო პაჭკორია შარშანდელთან შედარებით ყოველდღიურად 8-5 კილოგრამით მეტ ჩაის ფოთოლს კრეფს. მან უკვე 1.146 კილოგრამი მოკრიფა. კარგ მაჩვენებლებს აღწევენ ბებუცა აბშილავა, კლარა ლიპარტია და ნუცა ოდუა. თვითეულმა მათგანმა ერთ დღეს მოკრიფა 50 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და დავალება 250 პროცენტით შეასრულა.

◆ **თელავი.** რაიონის მეჩაიეებმა ჯერ კიდევ 20 მაისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს მაის-ივნისის გეგმა და ახლა ივლისის დავალების ანგარიშში მუშაობენ. ბაგმით გათვალისწინებული 80 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 88 ტონა ჩაის ფოთოლი, 15 ტონით მეტი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

სოფელ ძეგრის კოლმეურნეობაში კომკავშირელმა მკრეფავმა მაგული ვერულავამ 35 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15 კილოგრამისა.

კარგი ინიციატივა

ამ დღეებში გორის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენელთა და განათლების მუშაკთა თათბირმა მიიღო მიმართვა საქართველოს სსრ რაიონებისა და ქალაქების პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციებისა და განათლების მუშაკებისადმი.

სანიმუშოდ მოვემზადოთ ახალი სასწავლო წლისათვის, — ასეთია მიმართვის ძირითადი შინაარსი.

კოლმეურნეობათა სახსრებით მიმდინარე წელს დაიწყონ და 1961 წელს დაამთავრონ 320 ბავშვისათვის გათვალისწინებული საკოლმეურნეობათაშორისო სკოლა-ინტერნატის მშენებლობა სოფელ ზეღოღლეთში;

უზრუნველყონ ბიუჯეტით გამოყოფილი 2 მილიონ 300 ათასი მანეთის ათვისება ატენის სკოლა-ინტერნატის მშენებლობისათვის, რათა იგი გახსნან მიმდინარე წლის 1 სექტემბერს.

კოლმეურნეობათა ძალებით ახალი სკოლები აიშენონ სოფლებში ძევრაში, შინდოსში, კახიანში, სათემოში, მთელ რიგ სოფლებში გააფართოონ სასკოლო შენობები, მიაშენონ მათ ახალი საკლასო ოთახები, იმ პირობით, რომ 1960/1961 სასწავლო წლისათვის ერთცვლად მეცადინეობაზე გადაიყვანონ 12 საშუალო, 21 შვიდწლიანი და 74 დაწყებითი სკოლა, მოამზადონ ნიადაგი იმისათვის, რომ 1961/1962 სასწავლო წლიდან განხორციელდეს რაიონის ყველა სკოლის ერთცვლად მეცადინეობაზე გადასვლა და ა. შ.

ასეთია გორის რაიონის მშრომელთა უმთავრესი ვალდებულებები. მიმართვის ტექსტში აღნიშნულია მთელი რიგი ისეთი ვალდებულებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებას, სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას.

„ვკისრულობთ რა ამ ვალდებულებებს, — ნათქვამია მიმართვაში, — მოვუწოდებთ რესპუბლიკის ყველა რაიონისა და ქალაქის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციებს, განათლების მუშაკებს ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ახალი, 1960/1961 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების სანიმუშოდ მოსამზადებლად, რათა შეეძლათ ყველა პირობა მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, საყოველთაო რვაწლიან განათლებაზე წარმატებით დადასვლისათვის, სკოლის შესახებ მიღებული კანონის უნაკლოდ განხორციელებისათვის.“

კომბაინები გავიდნენ მინდვრად

სილნაღი. 6 ივნისი. (ტელეფონით „კომუნისტის“ კორ.). ჯერ კიდევ ამ ორიოდე კვირის წინათ, ტიბაანის კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა შეიმუშავა და დაამტკიცა პურეულის მოსავლის აღების გეგმა-გრაფიკი. ამ გეგმის მიხედვით პირველად ქერის მოსავლის აღება უნდა დაეწყოთ. ასეც მოხდა.

დღეს დილით ადრე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ვიტალი ბერეგაძე, არტელის უფროსი მექანიზატორი და მემინდვრეობის ბრიგადირები მინდვრად გასულ კომბაინებთან გაჩნდნენ. კომბაინებს უკვე დაკავებული ჰქონდათ შემოსული ქერის მასივებში სალაშქროდ გასვლის ზღუდეები.

— საჭიროა ნამი შეაშრეს ყანას, ცელი ვერ აიღებს. — თქვეს კომბაინერებმა.

... ნაშუადღევს, ალაზნის ველზე, ყარაღაჯის დაბლობში აგუგუნდნენ კომბაინთა აგრეგატები. ხუთი კომბაინი შეიჭრა სამკელად შემოსული ქერის მასივებში და შეუდგა შვიდწლედის მეორე წლის მოსავლის აღებას.

გვიან საღამოს ნამუშევარი რომ შეაჯამეს, ტიბაანელები პირველი დღის შედეგით კმაყოფილნი დარჩნენ: 5 კომბაინს მოემკო 45 ჰექტარი და თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ გაელეწა 23-25 ცენტნერი ქერი.

ქერის მოსავლის აღება გრძელდება. ტიბაანელი მექანიზატორები ვარაუდობენ ეს სამუშაო სამ-ოთხ დღეში დაამთავრონ.

ბარაქალა მათს მაღლიან მარჯვენას!

ქუთაისის თეატრის გასტროლები

„ოტელოს“ მეორე წარმოდგენა

გუშინწინ ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულმა თეატრმა მეორედ წარმოადგინა უ. შექსპირის ტრაგედია „ოტელო“.

მრავალი მაყურებელი დაესწრო სპექტაკლს, რომელშიც კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ქართული სცენის გამოჩენილი ოსტატები — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები აკაკი ხორავა (ოტელო) და აკაკი ვასაძე (იაგო).

დანარჩენ როლებს ასრულებდნენ მსახიობები ქ. კოლხიდელი (დეზდემონა), ნ. სალარაძე (ემილია), ე. სვანაძე (კასიო) და სხვები.

მაყურებელმა გულთბილად მიიღო საინტერესო წარმოდგენა.

„ყვარყვარე თუთაბერი“

პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ ქართული საბჭოთა დრამატურგიის კლასიკას მიეკუთვნება. ყოველი ახალი შეხვედრა ამ პიესის გმირებთან ხავსებით კანონზომიერ ინტერესსა და აზრთა გაცვლას იწვევს. ასევე იყო გუშინ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, სადაც ქუთაისელმა სტუმრებმა მორიგ წარმოდგენად უჩვენეს სპექტაკლი „ყვარყვარე თუთაბერი“. პიესის დადგმა განახორციელეს რეჟისორმა ოთ. ალექსაშვილმა; მხატვრობა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს სტალინური პრემიის ლაურეატს ფ. ლაბაიშვილს; კომპოზიტორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რ. ლაღიძე.

მთავარ როლებს ასრულებდნენ: სსრ კავშირის სახალხო არტისტი სტალინური პრემიის ლაურეატი აკ. ვასაძე (ყვარყვარე თუთაბერი), ვ. გვენცაძე (ალუკა), ეკ. დადიანი (გულთამზე), ალ. ჩიქვანიძე (გენერალი), ირ. ბალიაშვილი (სევასტი), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები შ. პირველი (რწმენუნებული), თ. კიკნავი (ლისა) და სხვები.

თბილისელმა მაყურებელმა დიდი ინტერესი გამოიჩინა ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის დადგმისადმი.

სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის წლიური ვალდებულების შესრულება

1960 წლის 1 ივნისისათვის

ხორცის შესყიდვის ნახევარი წლის სახელმწიფო გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია 121 პროცენტით, წლიური ვალდებულება — 24 პროცენტით.

რძის შესყიდვის ნახევარი წლის სახელმწიფო გეგმა ყველა კატეგორიის მეურნეობამ შეასრულა 78 პროცენტით, წლიური ვალდებულება კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს 32 პროცენტით.

ქვემოთ მოყვანილია ხორცისა და რძის შესყიდვის წლიური ვალდებულების შესრულების მონაცემები ყველა კატეგორიის მეურნეობაში რაიონების მიხედვით.

(პროცენტობით)

	ხორცი ვალდებულების შესრულების პროცენტი	რძე ვალდებულების შესრულების პროცენტი
ახალქალაქის	16,6	28,8
ბოგდანოვკის	12,9	26,2
ახალციხის	40,5	31,7
ადიგენის	32,8	39,9
ასპინძის	26,9	28,9
ხაშურის	33,8	37,1
ქარელის	33,1	33,9
გორის	18,6	29,6
კასპის	19,0	29,5
ბორჩომის	24,1	29,5
საგარეჯოს	19,6	30,8
გურჯაანის	15,6	36,9
სიღნაღის	14,2	29,2
წითელწყაროს	14,8	34,9
თელავის	18,9	27,9
ახმეტის	25,8	25,8
ყვარელის	22,6	28,0
ლაგოდეხის	31,4	44,2
ქ. თბილისი-სამგორის	14,9	33,5
მცხეთის	18,2	35,7
მარნეულის	13,4	27,8
ბოლნისის	29,0	39,1
წალკის	13,2	27,3
დუშეთის	21,0	29,0
თეთრი წყაროს	20,7	38,1
დმანისის	14,7	30,3
თიანეთის	20,9	28,8
ყაზბეგის	1,5	27,0
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის	22,7	26,4
წყალტუბოს	38,9	41,1
სამტრედიის	54,4	39,8
წულუკიძის	40,6	31,1
ვანის	32,4	31,7
მაიაკოვსკის	31,7	38,4
ზესტაფონის	45,3	42,7
თერჯოლის	41,3	36,7
ქალაქი ჭიათურა	43,7	48,5
საჩხერის	54,1	48,4
ორჯონიკიძის	31,3	37,9
ტყიბულის	68,4	76,7
ონის	30,0	26,1
ამბროლაურის	35,6	36,8
ცაგერის	31,7	42,0
ლენტეხის	33,3	46,7
აბაშის	30,6	35,0
ცხაკაიას	29,1	29,7
ჩოგოვკორის	38,2	40,5
ზუგდიდის	31,7	32,8
ხობის	31,1	32,3
წალენჯიხის	42,4	47,4
ჩხოროწყუს	38,6	37,6
მახარაძის	47,1	66,4
ლანჩხუთის	39,1	58,1
ჩოხატაურის	55,8	67,5
მესტიის	50,0	68,6
ქალაქი ფოთი	16,9	30,0
აფხაზეთის ასსრ	34,9	22,3
აჭარის ასსრ	25,1	35,2

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

„ბოლიერ“ ბრიგადა

ბოლიერ ბრიგადა ბ. ბერიძეს ბ. ბერიძეს ბ. ბერიძეს

საბჭოთა მთავრობის წინადადებანი

საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების ძირითად დებულებათა შესახებ

(გაგრძელება)

კური სახსრები. საკმარისია ითქვას, რომ ზოგიერთი სახეობის თანამედროვე ბომბდამშენები მეტი ღირს, ვიდრე მათი წონის თანაბარი ოქროს რაოდენობა. ეს ხომ ფაქტია, რომ ბევრი სახეობის შეიარაღება, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ქარხნის ტერიტორიას დატოვებდეს, ძველდება და ჯართად იგზავნება. გამალებული შეიარაღება იქცევა ადამიანის შრომისა და მატერიალური სახსრების უაზრო ხარჯვად. მარტო ეს სახსრები, რომლებიც ახლა სახელმწიფოთა მიერ იარაღის შექმნისა და დაგროვებისათვის იხარჯება, საკმარისი იქნებოდა, რომ ბოლო მოღებოდა შიმშილს ყველგან დედამიწაზე.

ველარ შევურიგდებით იმას, რომ ასობით მილიონი ადამიანის ენერგია და მათ მიერ შექმნილი ფასეულობანი იხარჯება ომისათვის მზადებაზე, რომლის დაუშვებლობა დღითიდღე სულ უფრო ცხადი ხდება. თანამედროვე კაცობრიობა და მისი შესანიშნავი მიღწევანი ბუნების დამორჩილებისა და სულიერი კულტურის განვითარების დარგში უკეთესი ბედის ღირსია.

ახლა რეალური, მისაღწევი გახდა დიდი მიზანი, რომელზეც ოცნებობდა ადამიანთა ბევრი თაობა, — ბოლო მოეღოს ომებს, საერთოდ აღმოიფხვრას ომი ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებიდან. ეს მიზანი შეიძლება მიღწეულ იქნას ყველა სახეობის იარაღის მოსპობისა და მსოფლიოში ყველა არმიის დაშლის გზით, ე. ი. საყოველთაო და სრული განიარაღების გზით. ასეთია ერთადერთი ნამდვილი საიმედო საფუძველი, რომელსაც ახლანდელ პირობებში შეიძლება დაემყაროს ყველა სახელმწიფოთა შორის მტკიცე, ურღვევი მშვიდობა.

საყოველთაო და სრული განიარაღება უპირატესობას ვერ მისცემს რომელიმე მხარეს. ეს შესაძლებელს ხდის თავიდან ავიცილოთ ბევრი დაბრკოლება, რომლებიც წარმოიშობდნენ, როცა საქმე ეხებოდა მარტო განიარაღების ნაწილობრივ ღონისძიებებს და როცა ცალკეული სახელმწიფოები შიშობდნენ, რომ ასეთ ღონისძიებათა განხორციელებას შეუძლია დაარღვიოს ძალთა თანაფარდობა, ზიანი მიაყენოს მათს უშიშროებას. საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ შეთანხმების დადება ბევრად გააადვილებს საერთაშორისო კონტროლის განხორციელებასაც განიარაღების ღონისძიებებისადმი, რადგან, თუ მიღწეულ იქნა სრული განიარაღება, სახელმწიფოებს აღარ ექნებათ მიზეზი რაიმე დაუმალონ ერთმანეთს და შესაძლებელი იქნება სრული კონტროლის განხორციელება.

საბჭოთა კავშირის წინადადებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ მხურვალე მოწონებით შეხვდნენ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. მან ახალი ძალა შემატა ხალხთა მისწრაფებას სამუდამოდ განთავისუფლებულიყვნენ რაკეტულ-ატომური ომის კოშმარული საფრთხისაგან. არც ერთი მთავრობა არ გამოსულა ამ წინადადების წინააღმდეგ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ერთსულოვნად მოიწონა საყოველთაო და სრული განიარაღების იდეა და დაადასტურა, რომ ასეთი განიარაღების საკითხი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც მსოფლიოს წინაშე დგას ამჟამად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მოწოდება მთავრობებისადმი — მიიღონ ამ პრობლემის კონსტრუქციული გადაჭრის უსწრაფესად მიღწევის ყველა ღონისძიება, დიდ მორალურ ვალდებულებას აკისრებს ყველა სახელმწიფოს.

იმისათვის, რომ განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეს მოწოდება და გამართლებულ იქნას ხალხთა იმედი, რომლებიც განიარაღებას მოითხოვენ, საჭიროა, რომ მთავრობებმა, რომლებზეც პირველ რიგში დამოკიდებულია საერთაშორისო შეთანხმების მიღწევა ამ საკითხზე, დაუყოვნებლივ მიიღონ კონკრეტული ღონისძიებანი ასეთი შეთანხმების მომზადებისა და დადებისათვის.

საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს იღებს, რათა რაც შეიძლება მალე მიღწეულ იქნას პრაქტიკული შედეგები განიარაღების შესახებ მოლაპარაკებაში — შემუშავდეს და ხელმოწერილ იქნას შეთანხმება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის 1959 წლის 18 სექტემბრის წინადადებანი შეიცავენ საერთო ოთხწლიანი ვადის ჩარჩოებში სამ ეტაპად საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელების კონკრეტულ პროგრამას. ამასთან მხედველობაში იყო მიღებული, რომ პირველ ეტაპზე საერთაშორისო კონტროლით განხორციელდება სახელმწიფოთა ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების არსებითი შემცირება, მეორე ეტაპზე დამთავრდება ამ შეიარაღებული ძალების დარჩენილი კონტინგენტების ლიკვიდაცია და ლიკვიდირებულ იქნება სამხედრო ბაზები სხვის ტერიტორიებზე, ხოლო მესამე ეტაპზე — მოისპობა ყველა სახეობის ატომგულისა და რაკეტული იარაღი და განხორციელდება სხვა ღონისძიებანი საყოველთაო და სრული განიარაღების დამთავრებისათვის.

მოითხოვდა რა განიარაღების ღონისძიებათა ასეთ თანმიმდევრობას, საბჭოთა კავშირი ითვალისწინებდა დასავლეთის სახელმწიფოთა თვალსაზრისს, რომლებიც განიარაღების შესახებ წინანდელ მოლაპარაკებაში იმოწმებდნენ რა სსრ კავშირის უპირატესობას შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების მხრივ, მოითხოვდნენ, რომ ღონისძიებანი ატომგულის განიარაღების დარგში გადატანილი ყოფილიყო უკანასკნელ სტადიაზე. რაც შეეხება საბჭოთა მთავრობას, იგი ყოველთვის მოითხოვდა, რომ ომი მასობრივი მოსპობის იარაღის გამოყენებით შეუძლებელი გახდეს, და მიაჩნია, რომ რაც უფრო მალე განხორციელდება ეს, მით უკეთესია.

ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეთა შეხვედრებისა და მოლაპარაკების დროს, რაც უკანასკნელ თვეებში მოხდა, ისევე როგორც განიარაღების საკითხებზე ათი სახელმწიფოს კომიტეტის მუშაობის მსვლელობაში, რომელსაც დაევალა შეეშუშავებინა ღონისძიებანი საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის, დაწვრილებით იყო ჩამოყალიბებული და დაზუსტებული მხარეთა შეხედულებანი და წინადადებანი განიარაღების საკითხებზე.

საბჭოთა მთავრობა, თანმიმდევრულად იცავს რა თავის წინადადებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, როგორც ისეთს, რომელიც შეესაბამება დედამიწაზე მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის დიად მიზანს, რითაც დაინტერესებულია უკლებლივ ყველა ხალხი, ამასთან ერთად მზად არის ანგარიში გაუწიოს მოლაპარაკების სხვა მონაწილეთა ყოველგვარ კონსტრუქციულ მოსაზრებებსა და სურვილებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ განიარაღების პრაქტიკული განხორციელების შესახებ შეთანხმების მიღწევას.

მოლაპარაკების მსვლელობაში ზოგიერთმა სახელმწიფომ, კერძოდ საფრანგეთმა, ის აზრი გამოთქვა, რომ განიარაღება უნდა დაიწყოს მიზანთან ატომგულის, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის მიტანის საშუალებების, ისეთების, როგორიც არის სამხედრო რაკეტები, სამხედრო ავიაცია, სამხედრო-საზღვაო გემები და სხვ., აკრძალვით და მოსპობით. ამასთან გათვალისწინებული იყო, რომ საჭიროა ამავე დროს სახელმწიფოებმა მოახდინონ სხვის ტერიტორიებზე თავიანთი სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია.

სსრ კავშირის მთავრობას კვლავ მიაჩნია, რომ განიარაღების შესახებ ღონისძიებათა განხორციელების წესი, რომელიც გათვალისწინებულია მისი 1959 წლის 18 სექტემბრის წინადადებით, სავსებით შეესაბამება საყოველთაო და სრული განიარაღების პრაქტიკული განხორციელების მიზანს. მაგრამ, ისწრაფვის რა ყოველი ღონისძიებით გააადვილოს ამ საკითხზე შეთანხმების უსწრაფესი მიღწევა ყველა სახელმწიფოს შორის მტკიცე და ურღვევი მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის, საბჭოთა მთავრობა კვლავ მზად არის დააკმაყოფილოს დასავლეთის სახელმწიფოთა სურვილი და შეთანხმდეს განიარაღების შესახებ ღონისძიებათა განხორციელების სხვა წესზე, თუ ეს წესი უფრო მისაღებია დასავლეთის სახელმწიფოებისათვის.

საბჭოთა მთავრობა, რომელიც იმის მხურვალე მომხრეა, რომ რაც შეიძლება მალე გადარჩენილ იქნას კაცობრიობა რაკეტულ-ატომური ომის დაწყების საფრთხისაგან, წინადადებას იძლევა შევთანხმდეთ იმაზე რომ საყოველთაო და სრული განიარაღების პროცესი დაიწყოს იმით, რომ საერთაშორისო კონტროლით უკვე პირველ ეტაპზე აიკრძალოს და მოისპოს ატომური იარაღის მიზანთან მიტანის ყველა საშუალება, ამავე დროს ლიკვიდირებულ იქნას სამხედრო ბაზები სხვის ტერიტორიებზე.

როცა მოისპობა მოქმედების ყველა რადიუსის საბრძოლო რაკეტები, სამხედრო ავიაცია, წყალქვეშა ნავები და წყალზედა სამხედრო ხომალდები, არტილერია, რომელსაც შეუძლია ისროლოს ატომგულის ჭურვები და მასობრივი მოსპობის იარაღის მიზანთან მიტანის ყველა სხვა საშუალება, ხოლო სახელმწიფოებს არ ეყოლებათ შეიარაღებული ძალები და არ ექნებათ სამხედრო ნაგებობანი თავიანთი საკუთარი საზღვრების გარეთ, ერთი ქვეყნის მეორეზე თავდასხმა ატომური და წყალბადის იარაღის დახმარებით პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება.

ამ მიზნისათვის საბჭოთა კავშირი მზად არის დაიწყოს განიარაღება მიზანთან ატომგულის იარაღის მიტანის ყველა საშუალების მოსპობით, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს საყოველთაოდ აღიარებული უპირატესობა ამგვარი ყველაზე თანამედროვე და ეფექტიან საშუალებებში, სახელდობრ — საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტებში.

ამ შემთხვევაში განიარაღების პროგრამის შემდეგი, მეორე ეტაპის განმავლობაში შეიძლებოდა განხორციელებულიყო ისეთი ღონისძიებანი, როგორიც არის ატომგულის, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის აკრძალვა, მთელი მასი მარაგის მოსპობა და შემდგომი წარმოების შეწყვეტა. ატომური ომის საფრთხე, რა ფორმითაც უნდა იყოს, სამუდამოდ იქნებოდა თავიდან აცილებული. ამავე დროს განხორციელდებოდა სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების და ჩვეულებრივი შეიარაღების მნიშვნელოვანი შემცირება.

მესამე ეტაპი იქნებოდა საყოველთაო და სრული განიარაღების დამთავრების, ყველა არმიის, სამხედრო სამინისტროების, გენერალური შტაბების დაშლის, სამხედროვალდებულებისა და ახალგაზრდობის სამხედრო სწავლების გაუქმების, სამხედრო მიზნებისათვის სახსრების ხარჯვის სრული შეწყვეტის მომასწავებელი.

წინადადებაა, რომ განიარაღების მთელი ეს პროგრამა განხორციელდეს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში — 4 წელიწადში ან სხვა შეთანხმებული ვადის განმავლობაში. ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლით.

საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხის საერთაშორისო ორგანოებში განხილვის მსვლელობაში დიდი ყურადღება მიიპყრო იმ ღონისძიებათა საკითხმა, რომლებიც მიღებულ უნდა იქნას მშვიდობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოთა ურთიერთობაში საერთაშორისო მართლწესრიგის დაცვისათვის საყოველთაო და სრული განიარაღების პირობებში. საბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლევა, რომ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა ერთად შეისწავლონ ეს საკითხი დაწვრილებით, რათა მესამე, დამამთავრებელი ეტაპის განხორციელების მსვლელობაში მიღებულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად საყოველთაო და სრული განიარაღების პირობებში მშვიდობის შენარჩუნების საჭირო ღონისძიებანი, მათ შორის სახელმწიფოთა ვალდებულება — საჭირო შემთხვევებში უშიშროების საბჭოს განკარგულებაში გადასცენ პოლიციის (მილიციის) ფორმირებანი მშვიდობის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად. რა თქმა უნდა, ასეთი პოლიციის (მილიციის) ფორმირებანი შეიძლება გამოყენებულ იქნან მხოლოდ და მხოლოდ ხალხთა შორის მშვიდობის დასაცავად და არა იმ ხალხთა დასათრგუნავად, რომლებიც იბრძვიან თავიანთი დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის, არა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევისათვის.

წინადადებაა, რომ განიარაღების ყველა ღონისძიება თავიდან ბოლომდე განხორციელდეს მტკიცე საერთაშორისო კონტროლით. ამისათვის ხელშეკრულების მონაწილეებმა უნდა შექმნან საერთაშორისო საკონტროლო ორგანიზაცია, რომლის კომპეტენცია გავრცელდება განიარაღების ყველა განსახორციელებელ ღონისძიებაზე და გაფართოვდება იმის კვალობაზე, თუ როგორ მიიღებენ ეს ღონისძიებანი სულ უფრო ფართო და შორს გამიზნულ ხასიათს.

ნათქვამის შესაბამისად საბჭოთა მთავრობას შემოაქვს საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების ძირითად დებულებათა პროექტი.

საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების ძირითადი დებულებანი

1959 წელს შექმნილი განიარაღების საკითხთა ათი სახელმწიფოს კომიტეტის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობებს, ხელმძღვანელობენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIV სესიის 1959 წლის 20 ნოემბრის რეზოლუციით „საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ“, საჭიროდ მიიჩნიათ ახალი ომის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნისა და დედამიწაზე მტკიცე და ურღვევი მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის დაუყოვნებლივ შეუდგნენ საყოველთაო და სრული განიარაღების ამოცანების პრაქტიკულ გადაჭრას და ამ მიზნით გადაწყვიტეს შეიმუშაონ ხელშეკრულება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, რომელშიც იქნება ქვემოთ მოყვანილი ძირითადი დებულებანი.

I. საყოველთაო და სრული განიარაღება ითვალისწინებს:

— სახელმწიფოთა მთელი შეიარაღებული ძალების დაშლას და მათი აღდგენის აკრძალვას, რა ფორმითაც უნდა იყოს;

— ყველა სახეობის იარაღის, მათ შორის ატომური, წყალბადის, ქიმიური, ბიოლოგიური და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის მთელი მარაგის აკრძალვასა და მოსპობას და წარმოების შეწყვეტას;

—მიზანთან მასობრივი მოსპობის იარაღის მიტანისათვის გაკუთვნილ მთელ საშუალებათა მოსპობას;

— ყოველგვარი სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას, ყოველი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოეთის მთელი ჯარების გამოყვანასა და დაშლას;

— მოქალაქეთა ყველა სახეობის სამხედრო ვალდებულების გაუქმებას;

—მოსახლეობის სამხედრო სწავლების შეწყვეტას და ყველა სამხედრო სასწავლებლის დახურვას;

— სამხედრო სამინისტროების, გენერალური შტაბებისა და მათი ადგილობრივი ორგანოების, ისევე როგორც ყველა სხვა სამხედრო და გასამხედროებული დაწესებულებისა და ორგანიზაციის გაუქმებას;

— სამხედრო მიზნებისათვის სახსრების გაცემის შეწყვეტას როგორც სახელმწიფო ბიუჯეტების ხაზით, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კერძო პირების ხაზით.

საყოველთაო და სრული განიარაღების დამთავრების შემდეგ სახელმწიფოთა განკარგულებაში უნდა დარჩნენ მხოლოდ პოლიციის (მილიციის) ყოველი ქვეყნისათვის ზუსტად განსაზღვრული და შეთანხმებული კონტინგენტები, შეიარაღებული მსუბუქი სასროლო იარაღით და განკუთვნილი შინაგანი წესრიგისა და მოქალაქეთა პირადი უშიშროების დასაცავად.

II. საყოველთაო და სრული განიარაღება უნდა განახორციელოს ყველა სახელმწიფომ ერთსა და იმავე შეთანხმებულ და ზუსტად განსაზღვრულ დროს, ამასთან განიარაღების პროცესი იწარმოებს თანდათან, სამ თანმიმდევრულ ეტაპად, ამასთან მხედველობაშია მიღებული, რომ არც ერთ ამ ეტაპზე არც ერთი სახელმწიფო არ მიიღებს განიარაღების მსვლელობიდან გამომდინარე სამხედრო უპირატესობებს სხვა სახელმწიფოთა წინაშე.

საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ შეთანხმებისადმი სხვა სახელმწიფოთა მიმხრობის საკითხის განსახილველად მოწვეულ იქნება კონფერენცია ყველა ქვეყნის მონაწილეობით.

III. განიარაღების ყველა ღონისძიება თავიდან ბოლომდე განხორციელდება მკაცრი და ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლით, სახელდობრ:

ა) ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე შეიქმნება მოსამზადებელი კომისია, რომლის ამოცანა იქნება განახორციელოს პრაქტიკული ღონისძიებანი საყოველთაო და სრული განიარაღებისადმი კონტროლის საერთაშორისო ორგანიზაციის შესაქმნელად.

ბ) საკონტროლო ორგანიზაცია უნდა შეიქმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩოებში ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტში. მასში შევა ხელშეკრულების მონაწილე ყველა სახელმწიფო, რომელთა წარმომადგენლები პერიოდულად შეიკრიბებიან კონფერენციებზე განიარაღებისადმი ეფექტიანი კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად. კონფერენცია ირჩევს საკონტროლო საბჭოს, რომელშიც შევლენ მუდმივი და არამუდმივი წევრები და რომელსაც ადგილებზე ექნება თავისი ორგანოები. საკონტროლო საბჭოში შევლენ სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები, იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომლებიც ამჟამად შედიან დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებში, და ნეიტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლები. განსაკუთრებით დათქმული შემთხვევების გარდა, გადაწყვეტილებანი საკონტროლო საბჭოში მიიღება არსის საკითხებზე ხმის ორი მესამედით, ხოლო საპროცედურო საკითხებზე — ხმის უბრალო უმრავლესობით.

გ) საკონტროლო საბჭო განახორციელებს საკონტროლო სისტემის პრაქტიკულ ხელმძღვანელობას, შეიმუშავებს ინსტრუქციებს, აგრეთვე აწარმოებს მიღებულ მოხსენებათა დროულ ანალიზსა და დამუშავებას. სახელმწიფოები საკონტროლო საბჭოს წარუდგენენ ცნობებს თავიანთი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შესახებ.

დ) საკონტროლო ორგანიზაციას შეთანხმების მონაწილე ყველა ქვეყანაში ეყოლება თავისი პერსონალი, რომელსაც შეაგროვებენ საერთაშორისო საფუძველზე სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების პრინციპის გათვალისწინებით და ხელშეკრულების დებულებათა შესაბამისად. საკონტროლო ორგანიზაცია თავის ინსპექტორებს გაანაწილებს სახელმწიფოთა ტერიტორიებზე ისეთი ვარაუდით, რომ მათ შეძლონ თავიანთი ფუნქციების შესრულების დაწყება იმ მომენტში, როცა სახელმწიფოები დაიწყებენ ღონისძიებათა განხორციელებას განიარაღების დარგში. ხელშეკრულების ყოველი მონაწილე კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს კონტროლიორთა და საინსპექციო ჯგუფების დროული და დაუბრკოლებელი დაშვება თავისი ტერიტორიის ფარგლებში ყოველ ჰუნქტთან, რომელშიც განხორციელდება განიარაღების ღონისძიებანი, რომელიც უნდა შემოწმდეს, ან ყოველ რაიონში, სადაც მოეწყობა ინსპექცია ადგილზე ამგვარ ღონისძიებათა მიმართ. ხელშეკრულების მონაწილეები ამ მიზნისათვის საკონტროლო ორგანიზაციის ხარჯით გამოჰყოფენ ტრანსპორტის ყველა საჭირო საშუალებას საკონტროლო ორგანიზაციის პერსონალის მოგზაურობისათვის მათი ტერიტორიის ფარგლებში.

ე) საკონტროლო ორგანიზაციის პერსონალი ხელშეკრულების ყოველი მონაწილის ტერიტორიაზე ისარგებლებს ისეთი პრივილეგიებით და იმუნიტეტებით, რომლებიც საჭიროა განიარაღების ხელშეკრულების შესრულებისადმი კონტროლის დამოუკიდებელი და დაუბრკოლებელი განხორციელებისათვის.

ვ) საერთაშორისო საკონტროლო ორგანიზაციის მთელი ხარჯების დაფინანსება წარმოებს ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მიერ გამოყოფილი სახსრებით. სახელმწიფოთა შესატანების შკალა ფიქსირებულ იქნება საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების ტექსტში.

საკონტროლო ორგანიზაციას ყოველ ეტაპზე უნდა ჰქონდეს რწმუნებები განიარაღების დარგში ღონისძიებათა მოცულობისა და ხასიათის შესაბამისად.

ძირითადი ღონისძიებანი განიარაღების დარგში განაწილდება საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამის სამ ეტაპად შემდეგნაირად:

პირველი ეტაპი

1. წარმოებს სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალებიდან ამოღება, წყდება წარმოება და ისპობა მთელი სამუალებანი ატომგულის იარაღის მიტანისა, მათ შორის:

— სტრატეგიული და ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების რაკეტები, ყველა სახეობის თვითმფრინავი — ყუმბარები, ყველა სამხედრო თვითმფრინავი, რომელსაც შეუძლია ატომგულის იარაღის ზიდვა;

— წყალზედა სამხედრო ხომალდები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ატომგულის იარაღის მატარებლად;

— ყველა კლასისა და ტიპის წყალქვეშა ნავები;

— მთელი საარტილერიო სისტემები, აგრეთვე სხვა საშუალებანი, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ატომური და წყალბადის იარაღის მატარებლებად.

2. წარმოებს უცხოეთის მთელი ჯარების გაყვანა სხვისი ტერიტორიებიდან თავიანთი ეროვნული საზღვრების ფარგლებში. ყველა დანიშნულების უცხოეთის სამხედრო ბაზები და საწყობები როგორც ჯარების გაყვანის შემდეგ განთავისუფლებული, ისე სათადარიგო, ლიკვიდირებულ უნდა იქნას.

3. პირველი ეტაპის დაწყებიდანვე და ატომგულის იარაღის მიტანის ყველა საშუალების საბოლოოდ მოსპობამდე აკრძალულია სპეციალურ მოწყობილობათა ორბიტაზე გაყვანა ან კოსმოსურ სივრცეში მოთავსება, სამხედრო ხომალდების გასვლა ტერიტორიული წყლების ფარგლებს გარეთ და სამხედრო თვითმფრინავების გაფრენა თავიანთი ეროვნული ტერიტორიის გარეთ, რომლებსაც შეუძლიათ ზიდონ მასობრივი მოსპობის იარაღი.

4. რაკეტების გაშვება წარმოებს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით წინასწარ დადგენილი და ურთიერთშეთანხმებული კრიტერიუმების შესაბამისად და ამას თან ახლავს შემოწმების შეთანხმებული ღონისძიებანი, მათ შორის ინსპექცია ასეთი რაკეტების გასაშვები მოედნების გასალაგების ადგილზე.

5. სახელმწიფოები, რომლებსაც აქვთ ატომგულის იარაღი, კისრულობენ ვალდებულებას არ გადასცენ ასეთი იარაღი ან მისი წარმოებისათვის საჭირო ინფორმაცია სახელმწიფოებს, რომლებსაც არა აქვთ ასეთი იარაღი. ამავე დროს სახელმწიფოები, რომლებსაც არა აქვთ ატომგულის იარაღი, კისრულობენ ვალდებულებას თავი შეიკავონ ამ იარაღის წარმოებისაგან.

6. შესაბამისად სახელმწიფოები ამცირებენ ხარჯებს სამხედრო მიზნებისათვის.

7. პირველ ეტაპზე ხორციელდება კონტროლის შემდეგი ღონისძიებანი:

წესდება საერთაშორისო კონტროლი ადგილზე რაკეტული იარაღის, საბრძოლო თვითმფრინავების, წყალზედა სამხედრო ხომალდებისა და წყალქვეშა ნავების და სხვა საშუალებათა ლიკვიდაციისადმი, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნან ატომური და წყალბადის იარაღის მატარებლად. შეთანხმებით შეიძლება შეიქმნას მუდმივი საკონტროლო ჯგუფები ზოგიერთ ქარხანასთან და დანადგართან.

საერთაშორისო საინსპექციო ჯგუფებს, რომლებსაც საკონტროლო ორგანიზაცია გაგზავნის, უფლება ექნებათ აწარმოონ მშვიდობიანი მიზნით გაშვებული რაკეტული მოწყობილობის ყოველმხრივი დათვალიერება და დაესწრონ მის გაშვებას.

კონტროლიორების კავშირი საკონტროლო საბჭოსთან წარმოებს კავშირგაბმულობის არსებული არხებით იმ პრივილეგიების მინიჭებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მოხსენებათა და განკარგულებათა სწრაფად გადაცემას.

8. პირველ ეტაპზე განხორციელდება ატომგულის, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის წარმოების შეწყვეტისა და ამ სახეობათა იარაღის მარაგის ლიკვიდაციის იმ ღონისძიებათა ერთობლივი შესწავლა, რომლებიც უნდა განხორციელდეს მეორე ეტაპზე.

9. პირველი ეტაპი უნდა დამთავრდეს დაახლოებით 1-1,5 წელიწადში. საერთაშორისო საკონტროლო ორგანიზაცია შეაჯამებს პირველი ეტაპის ღონისძიებათა განხორციელების შედეგებს, რათა მოახსენოს ისინი ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, საბჭოსა და გენერალურ ასამბლეას.

მეორე ეტაპი

1. ატომგულის, ქიმიური, ბიოლოგიური და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის სრული აკრძალვა და ამ სახეობათა იარაღის წარმოების შეწყვეტა და მთელი მარაგის ლიკვიდაცია.

2. ყველა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები მცირდება დადგენილ დონემდე, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები მცირდება დონემდე არაუმეტეს 1,7 მილიონი კაცისა. ჩვეულებრივი ტიპების განთავისუფლებული იარაღი და საომარი მასალა უნდა მოისპოს, ხოლო სამხედრო ტექნიკა — მოისპოს ან გამოყენებულ იქნას მშვიდობიანი მიზნით, შესაბამისად მცირდება სახელმწიფოთა სამხედრო ხარჯები.

3. მეორე ეტაპზე ხორციელდება კონტროლის შემდეგი ღონისძიებანი:

საკონტროლო ორგანიზაციის წარმომადგენლები ადგილზე ინსპექციას უწევენ ატომგულის, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის მთელი არსებული მარაგის მოსპობას. საკონტროლო ორგანიზაციას უფლება ექნება ინსპექცია გაუწიოს ყველა საწარმოს, რომელიც მუშაობს ატომური ნედლეულის მოპოვებაზე, აწარმოებს ან იყენებს ატომურ მასალებს ან ატომის ენერგიას. შეთანხმებით შეიძლება შეიქმნას მუდმივი საკონტროლო ჯგუფები ზოგიერთ საწარმოსთან და დანადგართან.

ადგილზე ხორციელდება საერთაშორისო კონტროლი ჯარების დაშლისა და შეიარაღების მოსპობისადმი.

კონტროლიორების ამოცანაა: მეთვალყურეობა შენაერთებისა და ნაწილების დაშლის, ჩვეულებრივ სახეობათა შეიარაღების მატერიალური ნაწილის, სამხედრო ტექნიკისა და საბრძოლო მარაგის ამოღებისა და მოსპობის შესახებ გადაწყვეტილებათა ზუსტად და დროზე შესრულებისადმი; მოხსენებათა წარდგენა საკონტროლო საბჭოში და იმ ქვეყნის მთავრობისათვის, სადაც ისინი იმყოფებიან.

საერთაშორისო კონტროლიორების ჯგუფში უნდა შედიოდნენ სპეციალისტები, დასაშლელი ნაწილებისა და მოსასპობ სახეობათა შეიარაღების ხასიათის მიხედვით.

საკონტროლო ორგანიზაციას შეუძლია დაუბრკოლებლად ისარგებლოს მასალებით, რომლებიც ეხება სახელმწიფო საბიუჯეტო ასიგნობებს სამხედრო მიზნებისათვის, მათ შორის სახელმწიფოთა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ყველა გადაწყვეტილებით ამ საკითხზე.

4. მეორე ეტაპზე წარმოებს შემდეგ ღონისძიებათა ერთობლივად შესწავლა, რომლებიც უნდა განხორციელდეს მესამე ეტაპზე:

ა) საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებანი ყველა იმ ღონისძიების დამთავრების შემდეგ, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულებით;

ბ) მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების ღონისძიებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად საყოველთაო და სრული განიარაღების პირობებში.

5. ისევე როგორც პირველი ეტაპიდან მეორეზე გადასვლის დროს, საერთაშორისო საკონტროლო ორგანიზაცია აჯამებს მეორე ეტაპის ღონისძიებათა განხორციელების შედეგებს, რათა ისინი მოახსენოს ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და გენერალურ ასამბლეას.

მესამე ეტაპი

1. ყველა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ლიკვიდაციის დამთავრება. სახელმწიფოთა განკარგულებაში რჩება მხოლოდ პოლიციის (მილიციის) ყოველი ქვეყნისათვის ზუსტად განსაზღვრული, შეთანხმებული კონტინგენტები, შეიარაღებული მსუბუქი სასროლი იარაღით და განკუთვნილი შინაგანი წესრიგისა და მოქალაქეთა პირადი უშიშროების დასაცავად.

2. მოისპობა ყველა დარჩენილ სახეობის ჩვეულებრივი შეიარაღება და საბრძოლო მარაგი, როგორც შეიარაღებულ ძალებში ისე საწყობებში არსებული, ხოლო სამხედრო ტექნიკა უნდა მოისპოს ან გამოყენებულ იქნას მშვიდობიანი მიზნებისათვის.

3. ლიკვიდირებულ იქნება სამხედრო წარმოება ყველა ქარხანაში, აგრეთვე შეწყდება წარმოება ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღებისა, გარდა იმ მსუბუქი სასროლი იარაღის ზუსტად განსაზღვრული წარმოებისა, რაც განკუთვნილი პოლიციის (მილიციის) კონტინგენტებისათვის, რომლებიც რჩებ

(დასასრული მე-3 გვერდზე)

კომუნისტი
მე-2 გვერდი, შაბათი,
4 ივნისი, 1960 წ.

ვაშენოთ მკვიდრად, იაფად, ღამაზად!

დღეს მოსკოვში გაიხსნება ქალაქთმშენებლობის საკავშირო თათბირი

მრავალ ღონისძიებათაგან, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ დასახა საბჭოთა ადამიანების ცხოვრების შემდგომი მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისათვის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საბინაო მშენებლობის ფართო პროგრამა. შვიდწლედის მანძილზე ახალი საწარმოების მშენებლობას და რეკონსტრუქციას, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას მოხმარდება დაახლოებით იმდენი სახსრები, რამდენიც ამ მიზნისათვის საერთოდ დაიხარჯა მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლება არსებობს.

ამ გრანდიოზული გეგმის შესაბამისად ჩვენს რესპუბლიკაში დიდი სამშენებლო სამუშაოებია გაჩაღებული. დღითიდღე იზრდება, ლამაზდება და მშვენდება რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისი, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დედაქალაქები, რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრი — ქალაქი ქუთაისი, ახალგაზრდა მეტალურგიული ქალაქი რუსთავი და სხვ.

ვინც ამ ქალაქებში უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში არ ყოფილა, მას ვეღარ იცნობს. ზედიზედ დგებიან მწყობრში ფაბრიკა-ქარხნების ახალი კორპუსები, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, სკოლები, კლუბები, კინოთეატრები, სამკურნალო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები. შენდება და კვლავაც ბევრი აშენდება ახალი კეთილმოწყობილი მაგისტრალები, მოედნები, პარკები და სკვერები.

კაპიტალური მშენებლობის ამ გიგანტურ ამოცანებს ძველი მეთოდებით ვერ გადაჭრით. ამიტომ არის, რომ პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ აიღეს შემდგომი ინდუსტრიული მშენებლობის მტკიცე და თანმიმდევრული კურსი.

ჩვენი რესპუბლიკის ბევრმა სამშენებლო ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა. 1959 წელს რესპუბლიკის ქარხნებში და პოლიგონებზე დამზადებულია 200 ათას კუბურ მეტრზე მეტი რკინაბეტონის ნაკეთობანი. „მთავართბილისმშენში“ და „ამერკავკასიის მეტალურგმშენში“ ასაწყობი რკინაბეტონის გამოყენება იმდენად გაიზარდა, რომ ისინი უტოლდებიან ჩვენი ქვეყნის ყველაზე მოწინავე სამშენებლო ორგანიზაციებს.

მნიშვნელოვნად გადიდდა სამშენებლო ორგანიზაციების აღჭურვა მექანიზმებით, გაიზარდა შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის მოცულობა. მექანიზაციის მაღალი დონე მიღწეული რკინაბეტონსა და ლითონის კონსტრუქციების მონტაჟში, ბეტონის მომზადებაში. ტექნიკურმა სიახლეებმა უზრუნველყო მშენებლობა შრომის ნაყოფიერების ზრდა. უკანასკნელ ოთხ წელიწადში ერთი მშენებელი მუშის გამომუშავება 25 პროცენტით გაიზარდა.

მიღწევებთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებები. სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში კაპიტალურ სამუშაოთა გეგმები არადამაკმაყოფილებლად სრულდება, მშენებლობა მეტისმეტად ჭიანურდება. ასევე არასახარბიელოა საბინაო მშენებლობის მდგომარეობა. მაგალითად, შარშან რესპუბლიკაში მთლიანად კაპიტალდაბანდებათა გეგმა შესრულებულია 95,6 პროცენტით, ხოლო საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემისა — 85,9 პროცენტით. 274,9 ათასი კვადრატული მეტრის ნაცვლად საექსპლოატაციოდ გადაეცა 236,1 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

შვიდწლედის მესამე წლის პირველ კვარტალში გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით კაპიტალდაბანდებანი საბინაო მშენებლობაში გაიზარდა 27,4 პროცენტით, ხოლო პირველ კვარტალში მშენებლობის გეგმა შესრულებულია 89,5 პროცენტით. საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემა კი გეგმის 56,9 პროცენტს არ აღემატება.

მშენებლობის გეგმის შეუსრულებლობის ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მეტი წილი სამშენებლო ორგანიზაციები მუშაობენ ნახტომებით, ადგილი აქვს იერიშობანას მუშაობაში, რაც იწვევს მშენებლობის ვადების ხელოვნურ გახანგრძლივებას, დამატებით ხარჯებს და ხარისხის გაუარესებას. მაგალითად, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ 1959 წლის დეკემბერში განახორციელა ისეთივე მოცულობის სამუშაოები, როგორიც იმავე წლის იანვარსა და თებერვალში ერთად. „მთავართბილისმშენმა“ გასული წლის უკანასკნელ თვეში საექსპლოატაციოდ გადასცა 47 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი — 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე წლის მთელ პირველ ნახევარში.

მშენებლობის გეგმების შეუსრულებლობა და შესრულებული სამუშაოს არადამაკმაყოფილებელი ხარისხი გამოწვეულია კიდევ იმით, რომ ჯერ კიდევ სუსტია შრომის ორგანიზაცია, დაბალია შრომითი და საწარმოო დისციპლინა. საშენი მასალების მომარაგება რეგულარული არ არის.

მშენებლებს მუშაობაში ხელს უშლის ის, რომ წინასწარ არ სრულდება მიწისქვეშა კომუნიკაციების — წყალსადენის, კანალიზაციის, მუდმივი და დროებითი გზების გაყვანის სამუშაოები. ერთბაშად იწყებენ ძირითად ნაგებობათა მშენებლობას. ამის შედეგია ის, რომ არ არის სამშენებლო მოედნების სწორი დაგეგმარება, მათი ტერიტორია უსწორმასწოროა, ავდარში სატვირთო მანქანების მოსვლაც კი შეუძლებელია. მშენებლობის დამთავრების შემდეგაც ეს დიდხანს რჩება ასე, რაც მოსახლეობის კანონიერ უკმაყოფილებას იწვევს.

საბინაო მშენებლობაში დღემდე ყველაზე მტკივნეულ საკითხად რჩება შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ამ საქმეში გაუჯობესებას ვერ მივაღწიეთ, პირიქით, მდგომარეობა კიდევაც გაუარესდა. ხშირად საექსპლოატაციოდ გადასცემენ ისეთ სახლებს, სადაც შესახლების ერთი თვის შემდეგ პარკეტი ამოყრილია, კარები და ფანჯრები არ იხურება, ხოლო თუ დახურავ, ვეღარ გაიღებ.

ჩვენს მშენებლებს ახლა უველაზე მეტად აკლიათ სამშენებლო საქმის მაღალი კულტურა და ორგანიზებულობა. სწორედ ამიტომ კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა მშენებელთა ხელმძღვანელებისაგან, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და დამპროექტებლებისაგან, ყველა მშენებელი მუშისაგან მოითხოვენ დღითიდღე აუჯობესონ საბინაო მშენებლობის პრაქტიკა, იბრძოლონ მშენებლობაში ტექნიკური პროგრესისათვის, უფრო სწრაფად აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი, მხარი დაუჭირონ და ფართოდ დანერგონ მოწინავე გამოცდილება, რომელიც ჩვენში მცირე როდია, უფრო მეტად ჩაბჯენ საზოგადოებრიობა ქალაქების, მუშათა დაბების, სოფლის დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის ღონისძიებათა განხორციელებაში.

დღეს მოსკოვში კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნება ქალაქთმშენებლობის სრულიად საკავშირო თათბირი. დელეგატები შეაჯამებენ გაწეული მუშაობის შედეგებს, დასახავენ კონკრეტულ გეგმას — აშენონ სახლები იაფად, სწრაფად და მკვიდრად. ამ ამოცანას უნდა მივაპყროთ პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის ყოველდღიური ყურადღება.

ასე შენდება ქალაქები

◆ **თბილისში** შვიდწლედში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 1.200 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, თითქმის 3-ჯერ მეტი, ვიდრე წინა შვიდ წელიწადში.

◆ **1960 წელს** თბილისში საბინაო მშენებლობაზე მარტო კაპიტალური დაბანდების ხაზით დაიხარჯება 169,9 მილიონი მანეთი, ანუ თითქმის 10 პროცენტით მეტი, ვიდრე გასულ წელს.

◆ **ჩვენი** რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის — ქალაქ ქუთაისის საბინაო მშენებლობისა და ქალაქის კეთილმოწყობისათვის განაკუთვნილ კაპიტალდაბანდებათა მოცულობა შვიდწლედის პირველ წელს წინა წელთან შედარებით 11 პროცენტით გაზრდდა.

◆ **გასულ** წელს კომუნალური მეურნეობისა და სხვა ორგანიზაციების ხაზით აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 26 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი 21.300 კვადრატული მეტრი ფართობით.

◆ **მიმდინარე** წელს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაზე დაიხარჯება 6 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე გასულ წელს. 1960 წელს ქალაქში აშენდება 36 საცხოვრებელი სახლი 37 ათასი კვადრატული მეტრი ფართობით.

ბრიგადის ტემპი

კალატოზთა ჩვენმა კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელიც 17 მშენებელს აერთიანებს, თავისი საუმჯობესო მუშაობა უკვე დაამთავრა ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 132-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე და ადგილი მღებავებსა და მღებავებს დაუთმო. ჩვენ ახლა იქვე, სოხუმის ქუჩის მეორე მხარეზე გადავიაცვლეთ, სადაც 152-ბინიანი დიდი საცხოვრებელი კორპუსი შენდება.

ჩვენ გადავწყვიტეთ, ახალი საცხოვრებელი სახლის პირველი 48-ბინიანი სექციის მშენებლობაზე ბლოკებისა და აგურის წყობა 1 ივლისისათვის დავამთავროთ და შენობა საექსპლოატაციოდ გადავცეთ გათვალისწინებულ ვადაზე ადრე.

ბრიგადა ყოველდღიურ დავალებებს 150-160 პროცენტით ასრულებს.

ჩვენ შეგვიძლია კიდევ უფრო გავაძლიეროთ მშენებლობის ტემპი. მუშაობაში ხელისშემშლელი მიზეზები რომ არ იყოს. საქმე ეხება იმას, რომ ტრესტს დამხმარე საწარმოთა კომბინატი შეფერხებებით გვაწვდის მზა ბეტონს, აგრეთვე კირისა და სილის ხსნარს.

დ. საჯაია,
ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 152-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ალატოზთა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი.

სურათზე: თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საქსოვი საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრთა ერთი ჯგუფი (მარჯვნიდან) — ნათელა ზაქარაია, ვასილ გეგეშიძე (ბრიგადირი) და მერი აზიზოვა შესვენების დროს კითხულობენ ახალ გაზეთს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

... და ხელოვნება

დიდი ხელოვნების ნათელ გზაზე

„კოლხეთის ცისკარის“ წარმატებით დადგმის შემდეგ, ქუთაისის მესახლეობის სახელობის თეატრმა თბილისის მომთხოვნ მაყურებელს უჩვენა შექსპირის „ოტელო“. ეს იმის მაჩვენებელია, რომ თეატრი თანამედროვეობის ამსახველ პიესებთან ერთად თავის რეპერტუარში ამკვიდრებს კლასიკურ ნაწარმოებებს.

ოტელოს როლში ვნახეთ დამსახურებული არტისტი გახტანგ მეგრელიშვილი. იგი ახერხებს დამოუკიდებელი სცენური სახის შექმნის მრავალმხრივ საინტერესო ცდა გვიჩვენოს. რაც მთავარია, მსახიობი მთელი ტრაგედიის მსვლელობის მანძილზე ძალმოუკლებლად თამაშობს. მსახიობი კარგად აოის გარკვეული როლის დედაარსში, ზუსტად აქვს გაანგარიშებული თავის შესაძლებლობანი და სურათიდან სურათში აღმატებული ბალით შესრულების სიძნელეს უმკლავდება. იქვიანობის სცენებში ვ. მეგრელიშვილი მაყურებლის მოწონებას იმსახურებს განცდის სიმართლით და ტრაგიკული როლისათვის აუცილებელი ტემპერამენტის მგზნებარებით. რამდენადაც მეგრელიშვილი კარგია მთელ რიგ სცენებში, ამდენადვე დასანანებელია, რომ ზოგჯერ ამოვარდნილია ტრაგედიის შესაბამისი რიტმიდან და კეთხური გამოთქმებითაც კი სცოდავს. თანაც არ შეიძლება მას — შემოქმედებით დავალების ასაკში მყოფი თეატრის წამყვან მსახიობს — არ ვუსაყვედუროთ, რომ იგი ნაკლებად უფრთხილდება გარეგნულ მონაცემებს, რითაც საგრძნობლად ზღუდავს საკუთარი სხეულის გამომსახველობით ძალას.

დამსახურებული არტისტი შოთა ხაჯალია იაგოს როლის შესრულებით გამოირჩეოდა თავიდან ბოლომდე შთამბეჭდავად გააზრებული სახის შექმნით, გამომსახველ საშუალებათა თანაბრომერი შერჩევით და გამოყენებით. ზოგჯერ შ. ხაჯალიას მიერ შექმნილი იაგოს სახე დაჩიავებულია ყოფაცხოვრებით დრამაში ასატანი გაუბრალოებით, მაგრამ მთავარი ისაა არის, რომ ასეთ დიდ მხატვრულ სახეზე მუშაობამ, ამ მსახიობის რეალისტურ ალღოს, მომხიბვლელ ბუნებრიობას და უშუალო განცდას და ღრმაანალიზური განსახიერებისაკენ მისწრაფებას ფართო გასაქანი მისცა და მისი აქტიორული ოსტატობის ზრდას ფრთა შეასხა.

„ოტელოს“ დადგმა, რაც განხორციელებულია ავაკო ვასაძის მიერ, გამოირჩევა ინსპირაციული სიმწყობრით და ცალკეული სახეების მკვეთრი და ნათელი გამოხატვით. მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს დამსახურებულმა არტისტებმა შ. პიროველმა (თავადარი კენეციისა) და ვ. ჩხეიძემ (ბრაბანციო) კ. აბესაძემ, ა. მურუსიძემ (სენატორები), მსახიობებმა ქ. კოლხიდელმა (დეზდემონა), ნ. სალარაძემ (ემილია), ც. ოთოიანელმა (ბიანკა), ა. ქელბაქიანმა, ა. ჩიქვინიძემ (სენატორები), ერ. სვანიძემ (კასიო), გ. ლასხიშვილმა (როდერიგო), ნ. წიკლაურმა (მონტანო).

ამ სპექტაკლში დრო და დრო ოტელოს და იაგოს როლებს ანსახიერებენ აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე. ისინი საბჭოთა სცენის დიდ მიღწევებად აღიარებული სახეებით არა მარტო ახარებენ მაყურებელთა დარბაზს, არამედ დიდად უწყობენ ხელს თავისი შემოქმედებითი მაგალითით მსახიობთა ახალი თაობის ოსტატობის ზრდასა და სრულყოფას.

დ. ჯანელიძე.

პოეზიის ზეიმი

კვირას, 5 ივნისს საქართველოში საფუძველი ჩაეყარა მშვენიერ ტრადიციას — პოეზიის დღესასწაულს. ამიერიდან ყოველ წელს ივნისის პირველ კვირადღეს მთელ რესპუბლიკაში მოეწყობა ასეთი დღესასწაული — პოეტური სიტყვის ოსტატთა შემოქმედებითი ანგარიში თავისი ხალხის წინაშე, მათი გამოსვლა, როცა ისინი წაიკითხავენ თავიანთ ახალ, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებს, პოეტები შეხვდებიან მკითხველებს, განიხილავენ პოეზიის უმნიშვნელოვანეს შემოქმედებით პრობლემებს.

საქართველოს, რომელმაც მოგვცა პოეზიის გამოჩენილი კორიფეები შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, — სამართლიანად უწოდებენ პოეზიის ქვეყანას. ყოველი ქართველი პოეტია, ყოველი ქართველი პოეტი ორგზის პოეტია, — ამ სიტყვებმა, რომლებმაც პოპულარობა მოიპოვეს, [illegible]სებით გაამართლეს თავისი ადგილი გასულ კვირას.

დილიდანვე ს. ორჯონიკიძის თბილისის კულტურისა და დასვენების პარკში საყვარელ პოეტებთან შესახვედრად მოვიდა მრავალი მკითხველი. აქ მოეწყო ბავშვთა დილა, რომელიც გახსნა პოეტმა ხ. ბერულავამ. ახალი ლექსები ახალგაზრდა მკითხველებს წაუკითხეს პოეტებმა ი. გრიშაშვილმა, მაყვალა მრევლიშვილმა, ნ. ჩაჩავამ, ი. სიხარულიძემ და სხვებმა. კრიტიკოსმა ბ. უღენტმა ბავშვებს უამბო ქართული პოეზიის განვითარებაზე, მის თანამედროვე მდგომარეობაზე.

საღამოს პარკის ხაზაგზულო თეატრში გაიმართა პოეზიის საღამო. იგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველმა მდივანმა პოეტმა ი. აბაშიძემ.

მოხსენება „დიდი ამრეზისა და გრძნობების პოეზიისათვის“ გააკეთა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანმა — კრიტიკოსმა ბ. უღენტმა.

— პოეზიის დღესასწაული, — თქვა მან, — არის პოეტების შემოქმედებითი ანგარიში მკითხველთა წინაშე. ეს დღე ჩვენ, მწერლებს გვაკავშირებს გავითვალისწინოთ სერიოზული ხარვეზები და ნაკლოვანებანი, რაც თანამედროვე ქართულ პოეზიას აქვს. უნდა ვიცოდეთ, რომ მხოლოდ დიდი ამრეზისა და გრძნობების პოეზია, ჩვენი დროის ნათელი იდეებით შთაგონებული პოეზია, ნამდვილი შთაგონებით, ტალანტით, დიდი ოსტატობით აღნაშნული პოეზია პოვებს გამომხატვრებას ჩვენი ხალხის სულიერ სამყაროში. ასეთი ღონის მიღწევისაკენ უნდა იყოს გამიზნული საბჭოთა პოეზიის ოსტატების მთელი შემოქმედებითი ძალები და შესაძლებლობანი.

საღამოზე თავიანთი ახალი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ა. მირცხულავამ, ს. ჩიქოვანმა, ხ. ბერულავამ, ი. ნონეშვილმა, მ. მაჭავარიანმა, ნ. შამანაძემ და სხვებმა.

პარკის ტერიტორიაზე წიგნის დახლებთან იყვნენ მწერლები ი. გრიშაშვილი, ა. მირცხულავა, ს. ჭილაია, ხ. ჩიქოვანი, ბ. უღენტი, ხ. ბერულავა და სხვები, რომელთაგან მკითხველები ნაყიდ წიგნებთან ერთად ავტოგრაფებსაც იღებდნენ. რადიოქსელი გადასცემდა საყვარელი ქართველი პოეტების აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის ფირზე ჩაწერილ სიტყვებს. კინოთეატრში უჩვენეს მხატვრული ფილმი „პოეტის აკვანი“.

პოეზიის დღისათვის გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოუშვა ლექსების კრებული დაწყებული შ. რუსთაველით და გათავებული თანამედროვე ქართველი მწერლებით.

ახალგაზრდობის ორკესტრი

ორი წელია, რაც შეიქმნა საქართველოს ახალგაზრდობის საესტრადო ორკესტრი „რერო“ კომპოზიტორების ბიძია კვერნაძისა და კონსტანტინე პეკზნერის ძახატრული ხელმძღვანელობით. თავისი არსებობის მანძილზე საესტრადო ორკესტრი საგასტროლოდ იყო საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, აგრეთვე ძოკავშირე რესპუბლიკებში.

წელს გაზაფხულზე „რერო“ საგასტროლოდ გაემგზავრა შუა აზიის რესპუბლიკებში, კონცერტები გამართა მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, ქალაქებში ტაშკენტში, ფრუნზეში. შემდეგ ორკესტრმა იმოგზაურა ნოვოსიბირსკში, ჩელიაბინსკში, უფაში, კუიბიშევში, პენზაში. „რერომ“ გასტროლებზე დაჰყო ორთვენახევარი და 80-მდე კონცერტი გამართა. ქართველი მსახიობების ყველა გამოსვლას მაყურებელთა დიდი მოწონება ხვდა.

მსმენელთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ ს. კოროშინაძის მიერ შესრულებული გ. ცაბაძის „ნინა“, კ. პეკზნერის „ზღვა, ამოდი, ამოდი“, ჩეხური ხალხური სიმღერა „ოქროსფერ ჩერო“, ა. ებრაელიძისა და ნ. დუმბაძის რამდენიმე ვოკალური ნომერი, მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა ქართულმა ცეკვებმა „ფარიკაობამ“ და „მთიულურმა“, რომლებსაც ლ. ბერულავა და ვ. გიორგობიანი ასრულებდნენ.

საქართველოს ახალგაზრდობის საესტრადო ორკესტრი რამდენიმე დღეა, რაც საგასტროლო მოგზაურობიდან დაბრუნდა და ამჟამად ემზადება პროგრამის სრულყოფისათვის, რის შემდეგ ერთი თვით საგასტროლოდ გაემგზავრება ლენინგრადში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, მინსკში და სოჭში.

საესტრადო ორკესტრ „რერომ“ პირველი კონცერტი ლენინგრადში 9 ივლისს გაიმართება.

რას გვიკარნახებს პრაქტიკა?

გრანდიოზული შვიდწლეული გეგმის შესაბამისად ჩვენს რესპუბლიკაში დიდი სამშენებლო სამუშაოებია გაჩაღებული. შენდება ახალი საძრეწველო საწარმოები, ჰიდრო და თბოელექტროსადგურები, ფართოვდება და კეთილმოწყობილი ხდება რკინიგზებისა და გზატკეცილების ქსელი. ქალაქებს ბრუნ და ლაზათს მატებენ ახლადგებული კულტურულ-საყოფაცხოვრებო, საგანმანათლებლო, კომუნალური, სამედიცინო დაწესებულებათა შენობები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბინაო მშენებლობას. თბილისში შვიდწლედში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 1.200 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, თითქმის 3-ჯერ მეტი, ვიდრე წინა შვიდ წელიწადში. მარტო მთავართბილისმშენის ტრესტის ხაზით 1960 წელს 1957 წელთან შედარებით სამშენებლო სამუშაოთა მოცულობა გაიზარდა 70 პროცენტით. წელს ჩვენ საექსპლოატაციოდ უნდა გადავცეთ 90 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების, ბინათმშენებლობაში დიდი ზომის ასაწყობი კონსტრუქციების, მოწინავე ტექნიკის დანერგვით მნიშვნელოვნად შემჭიდროვდა მშენებლობის ვადები, ახლა 36-ბინიან სახლს 6-8 თვეში გავიგებთ, მაშინ როცა წინათ ამაზე ორი წელიც კი გვჭირდებოდა. ცალკეული გადაწყვეტილი მშენებლობებიდან ჩვენ გადავედით პროგრამულ მეთოდზე — სახლების კვარტალურ მშენებლობაზე ტიპური პროექტებით. ასეთი კვარტალები აშენდა სახურთალოში და 26 კომისრის სახელობის რაიონში, ახლა ვითვისებთ ახალ დიდ მასივს დიღმის რაიონში, სადაც წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა რამდენიმე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

ჩვენი კოლექტივის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრა გვიკარნახებს ყოველი ღონისძიებით შეექმნათ და გავაფართოოთ მშენებლობის ინდუსტრიული ბაზები. უკვე გადაჭრილია სამშენებლო ობიექტების სასაკონლო ბეტონით ცენტრალიზებული უზრუნველყოფის პრობლემა. აგაშენეთ ბეტონის ორი მძლავრი ნახევრადავტომატური ქარხანა გამამდიდრებელი დანადგარებით, რომლებიც პრაქტიკულად უზრუნველყოფს მაღალხარისხოვანი ბეტონით მშენებლობათა შეუფერხებელ მომარაგებას. საექსპლოატაციოდ გადაეცემა ლითონკონსტრუქციების, სანტექნიკური ნამზადის და სხვა საამქროები. ამით გაიზარდა ასაწყობი რკინაბეტონის გამოყენება. თუ 1957 წელს ჩვენ ყოველი მილიონი მანეთის შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე ვიყენებდით 188 კუბურ მეტრ ასაწყობ რკინაბეტონს, წელს პირველ კვარტალში ამ რაოდენობამ 310 კუბურ მეტრს მიაღწია. ეს მაღალი მაჩვენებელია არა მარტო რესპუბლიკის, არამედ საკავშირო მასშტაბითაც.

ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენებით მკვეთრად შემცირდა მშენებლობის შრომატევადობა. ახლა ყოველი მაღლობი მანეთის შესრულებულ სამუშაოზე 24,2 მუშადღე ეხარჯება, სამი წლის წინათ კი ამავე მოცულობის სამუშაოზე შრომის დანახარჯები 28 მუშადღეს შეადგენდა.

წელს ჩვენი ტრესტის საწარმოო გეგმა მარშნდელ ფაქტიურ შესრულებასთან შედარებით გაზრდილია 31 პროცენტით. ჩვენ გადავწყვიტეთ საბინაო მაღენებლობის შეუფერხებელ წარმოებასთან ერთად საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისათვის საექსპლოატაციოდ გადავცეთ ისეთი დიდი ობიექტები, როგორიც არის სპორტის სასახლე თბილისში 10 ათასი მაყურებლისათვის და დახურული საცურავი აუზი. წელს ავაშენებთ სკოლის სამ შენობას და მეუფდგებით უდიდესი სასტუმროს და სახელმწიფო ფილარმონიის შენობათა აგებას.

მაგრამ ქალაქთმშენებლობაში ჩვენ სერიოზული ნაკლიც გვაქვს. განსაკუთრებით ძლიერ ჩამორჩება ახალი საცხოვრებელი მასივების კეთილმოწყობის სამუშაოები, რაც მცხოვრებთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ამ საქმის გამოსასწორებლად ჩვენ შეგქმენით სპეციალიზებული სამმართველო, რომელსაც დაეკალა მიწისქვეშა კომუნიკაციების, გზების, ტროტუარების მოწყობა, ტერიტორიის გამწვანება. მაგრამ ასფალტის ნაკლებობის გამო ეს სამუშაოები ყველაფერდება. გამოსავალი კი არსებობს: საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ნავთლუღის ასფალტ-ბეტონის ქარხანა სრულად არ არის დატვირთული. მიზანშეწონილი იქნებოდა ამ ქარხნის გადაცემა მთავართბილისმშენის ტრესტისათვის. მაშინ ჩვენ ახალ საცხოვრებელ მასივებზე ტერიტორიების დროულად კეთილმოწყობის სამუშალება ექნება.

ჩვენი ქალაქები სადა, მაგრამ ლამაზი უნდა იყოს. ტიპური პროექტებით მშენებლობა ეკონომიურია, გამორიცხავს არქიტექტურულ ზედმეტობას, სამუალებას იძლევა უფრო ყაირათიანად და გამიზნულად გამოვიყენოთ სახსრები და სამშენებლო სამუალებები. მაგრამ ტიპური პროექტებით მშენებლობა სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ცალკეული რაიონები და მით უმეტეს ქალაქები ტყუპებივით ჰგვანდნენ ერთმანეთს. ყოველ ქალაქს უნდა ჰქონდეს თავისი დამახასიათებელი სახე, კოლორიტი, არქიტექტურული ფასადი. ამ ამოცანების პრაქტიკულ გადაწყვეტაში, მშენებლობის დაჩქარების, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლაში ჩვენს მშენებლებსა და არქიტექტორებს დიდ დახმარებას გაუწევს საკავშირო თათბირი, რომელიც ქალაქთმშენებლობის პრობლემებს განიხილავს.

გ. ქართველიშვილი,
მთავართბილისმშენის ტრესტის მმართველი.



ამ სურათზე თქვენ ხედავთ მოწინავე მუშა-დურგალს — ალექსანდრე ჯმუხაძეს. იგი საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობდა. დემობილიზაციის შემდეგ თბილისის სპორტის სასახლის მშენებლობას მოაშურა. მალე მოწინავე დურგლის სახელიც მოიხვეჭა — ყოველდღიურ დავალებას ორმაგად ასრულებს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

საზეიმო დაპირებები და მწარე სინამდვილე

ვამოწმებთ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას

როცა ამ სურათს დახედავთ, გასაგები გახდება, რომ ოჩამჩირის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში თავმინებებულია ჩაის პლანტაციები. მოუვლელი და პირუტყვისაგან გათელილი ბუჩქები უხვ მოსავალს როდი მოგვცემენ.

ჩამორჩენა განსაკუთრებით იგრძნობა სოფელ თხინის ლენინის სახელობის (თავმჯდომარე ა. შამბა), სოფელ ჯგერდის სუვოროვის სახელობის (თავმჯდომარე ი. აშუბა) კოლმეურნეობებში. ზოგიერთ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები მიეჩვევნენ საზეიმო დაპირებებს და მათ პრაქტიკული საქმიანობით არ განმტკიცებენ. ასეა საქმის ვითარება სოფელ ქოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქაურმა მეჩაიეებმა წელს პირობა დადეს მოკრეფიფონ 1.500 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.456 ტონისა. მაგრამ პირველი შედეგები მათ სასარგებლოდ როდი მეტყველებს. კოლმეურნეობამ მაისის დავალება ვერ შეასრულა. ეს იმით აიხსნება, რომ კოლმეურნეობის გამგეობამ, პარტიულმა ორგანიზაციამ ხელიდან გაუშვეს ჩაის კრეფის საუკეთესო პერიოდი და ვერ დარაზმეს მეჩაიეები ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის საბრძოლველად.

არასახარბიელო მდგომარეობაა სოფელ კინდღის კოლმეურნეობა „წინსვლაში“ (თავმჯდომარე ა. ძაგანია, პარტბიუროს მდივანი ხ. ჯიქია). შარშან კინდღელებმა ქვეყანას 9 ტონაზე მეტი ნედლეული დააკლეს და ამ მწარე გაკვეთილიდან საჭირო დასკვნები მათ წელსაც ვერ გააკეთეს.

კინდღელებმა წელს ვალდებულება იკისრეს გეგმით გათვალისწინებული 92 ტონის ნაცვლად ახელმწიფოს მისცენ 100 ტონა ჩაის ნედლეული, მაგრამ არავის უფიქრია, როგორ და რა გზით უნდა შესრულდეს ეს ვალდებულება. გამგეობას მეჩაიეებისათვის არ შეუძენია საწვიმრები და, როგორც მკრეფავები აცხადებენ, ჩაის ფოთოლს ისინი მხოლოდ კარგ ამინდში კრეფენ.

ამ კოლმეურნეობაში ჩაის პლანტაციებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ისიც ადასტურებს, რომ 24 მაისს, როცა პირველი ბრიგადის (ბრიგადირი შ. სილაგაძე) პლანტაციებს ვათვალიერებდით, სამიოდე მკრეფავი მუშაობდა, ხოლო მათ გვერდით, ოციოდე მეტრის მანძილზე, ათამდე ძროხა არხეინად დასეირნობდა პლანტაციაში და ჩაის ახალ ღუყებს ანადგურებდა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ძაგანიამ, რომელსაც გვიან ღამით კანტორაში შევხვდით, ჩვენთან საუბარში განაცხადა, ახლა ზაფხულში, ძროხები ჩაის აღარ ჭამენო. იქვე მდგომმა კოლმეურნეებმა მხრები აიჩეჩეს, ცხადია, არ მოიწონათ თავმჯდომარის უცნაური პასუხი.

კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომა, ირღვევა დისციპლინა. კოლმეურნეები ომარ ხელაია, ნოდარ ვაწაძე, ირეოდიონ ინჯგია, ნოდარ ბობოხიძე და სხვები საკოლმეურნეო შრომას გაურბიან. მათ მიმართ კი კოლმეურნეობის გამგეობა გადამჭრელ ზომებს არ იღებს.

ეს მდგომარეობა, თქმა არ უნდა, იციან რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში, ისიც იციან, რომ მაისის ვალდებულება შესრულებულია 98 პროცენტით, მაგრამ ეს საქმე თითქოს არავის აღარღდებს. ვიდრე გვიან არ არის, ოჩამჩირის რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ ჩაის კრეფაში ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში ნაკლოვანებათა დასაძლევად.

ამ საკითხზე თავისი სიტყვა უნდა თქვას პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა.

ი. გობეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

სურათზე: პირუტყვი ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალი კინდღის კოლმეურნეობა „წინსვლის“ ჩაის პლანტ

საერთაშორისო
დეკეულები, ცნობები, მიმოხილვა
ცხოვრება

ათათურქის გზით?!..

დაძაბული ვითარება თურქეთში, რაც გამწვავდა ამ უკანასკნელ კვირეებში ანკარის, სტამბოლისა და იზმირის უმაღლეს და საშუალო სასწავლებელთა მოსწავლეების მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციებთან დაკავშირებით, ა. მენდერესის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის პირდაპირი შედეგია.

დემოკრატიული პარტია, რომლის ლიდერიც იყო მენდერესი, ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა 1950 წლის გაზაფხულზე პარლამენტის არჩევნების შედეგად. სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ, რომელიც დაახლოებით 30 წელიწადს თითქმის უცვლელად ხელმძღვანელობდა თურქეთს, გამანაგურებელი დამარცხება განიცადა. თურქული და უცხოეთის პრესა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის დამარცხებას მაშინ ხსნიდნენ ერთი მხრივ იმით, რომ ამომრჩეველთა მნიშვნელოვან ნაწილს გაუცრუებდა მისი საქმიანობის იმედი და ხალხი აღაშფოთა მმართველი წრეების კორუპციამ, ხოლო მეორე მხრივ იმ მიეფით, რომ დემოკრატიული პარტია, რომელიც 1945 წელს შექმნა სახალხო-რესპუბლიკური პარტიიდან გასულ პირთა ჯგუფმა, შეძლებდა უზრუნველეყო თურქეთისათვის ეკონომიური აღმავლობა და დემოკრატიული თავისუფლებანი.

მაგრამ ხელისუფლების სათავეში დემოკრატიული პარტიის ათი წლის ყოფნამ ვერ გაამართლა ეს იმედი. თურქეთის ეკონომიური მდგომარეობა განუწყვეტლივ უარესდებოდა და 1960 წლის დასაწყისისთვის ამ მდგომარეობას ახასიათებდა სერიოზული სავალუტო-საფინანსო სიძნელეები, საშინაო და საგარეო დავალიანების ზრდა, კრიზისული მოვლენები მრეწველობის მთელ რიგ დარგებში, ფართო მოხმარების საქონლის და კვების პროდუქტების ფასების ზრდა, უმუშევრობის გაფიდება. და სხვ. ოფიციალური მონაცემებით, თურქეთის საგარეო და საშინაო ვალებმა შეადგინა 7,6 მილიარდი თურქული ლირა, ხოლო გაზეთ „მილიონის" მონაცემებით თურქეთის მარტო საგარეო ვალები აღწევს 13 მილიარდ თურქულ ლირას (1.350 მილიონ დოლარს). როგორც გაზეთი „ულუსი" იუწყებოდა, ცხოვრების ღირებულება თურქეთში 1959 წლის შუა ხანებისათვის ექვსჯერ გაიზარდა 1950 წელთან შედარებით, იმავე 1959 წელს საფეიქრო მრეწველობის წარმოება შემცირდა 50 პროცენტით, ხოლო სპილენძის ამოღება 38 პროცენტით დაეცა. მარცვლეულის საერთო მოსავალი 1959 წელს შემცირდა 3 მილიონი ტონით 1958 წელთან შედარებით, რამაც მძიმე გავლენა მოახდინა გლეხობის მდგომარეობაზე, რომელიც ისედაც მძიმე პირობებშია, იადგან თურქეთის სოფელს დიდად აწუხებს მიწის ნაკლებობა და უმიწაწყლობა.

თურქეთის ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებამ, უმუშევრობისა და ფასების ზრდამ, მშრომელი მასების მატერიალური მდგომარეობის გაუარესებამ მენდერესის მთავრობის პოლიტიკის გამო მკვეთრი უკმაყოფილება გამოიწვია მუშებში, გლეხებში, ინტელიგენციის მნიშვნელოვან ნაწილში.

ყოველივე ამან გამოიწვია ა. მენდერესის მთავრობის მკვეთრი გაკრიტიკება. ოპოზიცია აღნიშნავდა, რომ თურქეთის ინდუსტრიალიზაციის გეგმები, რომლებიც მთავრობამ შეიმუშავა, შედგენილია თურქეთის მეურნეობის რეალურ მოთხოვნილებათა და შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად და რომ ბევრი ხარჯი ეკონომიურად არ არის გამართლებული. რეპრესიები პრესის წინააღმდეგ, ოპოზიციის დევნა, პოლიციის ტერორი აძლიერებდნენ ა. მენდერესის რეჟიმის გამო უკმაყოფილების ზრდას. ოპოზიციას სათავეში ედგა თურქეთის ყველაზე დიდი და გავლენიანი პარტია — სახალხო-რესპუბლიკური პარტია, რომელსაც მეთაურობდა თურქეთის ყოფილი პრეზიდენტი ისმეთ ინენიუ. ამ პარტიამ შეძლო წელში გამართულიყო დამარცხების შემდეგ, რაც 1950 წელს განიცადა, და უკვე 1957 წლის პარლამენტის არჩევნებში წარმოადგენდა სერიოზულ საფრთხეს დემოკრატიული პარტიისათვის. უკანასკნელ ხანს გართულდა ურთიერთობა მენდერესის მთავრობასა და თურქეთის არმიას შორის. ეს აისახა მრავალრიცხოვან დათხოვნითა და გადაადგილებით თურქეთის ჯარების ხელმძღვანელ შემადგენლობაში.

ისწრაფოდა რა გაენადგურებინა ოპოზიცია და ძირი გამოეთხარა თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მდგომარეობისათვის, ა. მენდერესმა ამა წლის აპრილში დიდ ეროვნულ კრებაში (პარლამენტი), სადაც ხმის უმრავლესობა ჰქონდა, გაიყვანა კანონი სახალხო - რესპუბლიკური პარტიის საქმიანობის გამომკვლევი სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ, პარტიისა, რომელსაც ბრალად ედებოდა ძირგამომთხრელი საქმიანობა. ამ კომისიას ენიჭებოდა ფართო რწმენებანი, პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვაც კი თურქეთში. ამ კანონის განხილვის დროს პარლამენტში მოეწყო ოპოზიციის მკვეთრი გამოსვლები, რომლებიც ხელჩართულ შეტაკებად გადაიქცა.

კომისიის შექმნის კანონის მიღების შემდეგ მენდერესის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა გასცდა პარლამენტის კედლებს. 27 აპრილიდან დაიწყო სტუდენტთა დემონსტრაციები სტამბოლსა და ანკარაში, ხოლო შემდეგ იზმირში. პოლიციამ ვერ გატეხა დემონსტრანტების ნებისყოფა. გამოსვლები გრძელდებოდა. ქალაქების ქუჩებში გამოიყვანეს ჯარები, მაგრამ ისინი თავს იკავებდნენ მონაწილეობა მიეღოთ რაიმე რეპრესიულ ღონისძიებაში დემონსტრაციათა მონაწილეების წინააღმდეგ. მოვლენათა განვითარების ის მოაყვა, რომ 27 მაისს თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა სახელმწიფოებრივი გადატრიალება მოახდინეს.

თურქეთის ისტორიაში მესამედ იღებს არმია ქვეყნის ხელმძღვანელობას თავის ხელში. ეროვნული ერთიანობის კომიტეტის მმართველობაში ხალხისადმი, რასაც ხელს აწერს გენერალი გიურსელი, ნათქვამია, რომ თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა იკისრეს ქვეყნის მართვა, რათა თავიდან აეცილებინათ „ძმათამკლელი ბრძოლა" და „უზრუნველეყოთ სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების მოწყობა", რის შემდეგაც ხელისუფლება გადაეცემა პარტიას, რომელიც არჩევნებში გაიმარჯვებს. მმართველობაში შემდეგ დადასტურებულია ერთგულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისადმი, აგრეთვე წინათ დადებული ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმებისადმი. „ჩვენ გვწამს ნატო და სენტო და მათი ერთგული ვართ", — ხაზგასმულია მმართველობაში. ამით თითქოს დადასტურებულია მენდერესის საგარეო პოლიტიკის მონაცემები. ამერიკის პრესის ცნობებით, ეროვნული ერთიანობის კომიტეტმა, აცნობა რა 28 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს თურქეთში არმიის მიერ მოწყობილი გადატრიალების ამბავი, განუცხადა მას, რომ ეს ნაბიჯი არ არის მიმართული თურქეთის მოკავშირეთა წინააღმდეგ.

თურქეთში მომხდარი სახელმწიფოებრივი გადატრიალების ცნობას შეშფოთება არ გამოუწვევია ლონდონში, ვაშინგტონსა და პარიზში. ინგლისის რეიტერის საგაზეთმა გამოაქვეყნა ცნობა, რომ თურქეთის ახალ მთავრობას, რომელსაც გენერალი ჯემალ გიურსელი ხელმძღვანელობს, ალბათ, კარგად შეხვდებიან დასავლეთის მოკავშირეები. დასავლეთი, ხაზს უსვამს სააგენტო, დაინტერესებულია, რომ თურქეთი თავისი კავშირების ერთგული დარჩეს. ამერიკის ბურჟუაზიული გაზეთები წერენ, რომ თურქეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში მომხდარი ცვლილებანი გავლენას არ მოახდენენ მის ურთიერთობაზე შეერთებულ შტატებთან. ყოველად უეჭველად მიგვაჩნია, ამტკიცებს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი", რომ რომელმა პარტიამაც უნდა აიღოს ძალაუფლება ხელში თურქეთში, თურქეთი წინანდებურადვე მტკიცედ იდგება დასავლეთის მხარეზე.

ამავე დროს ეროვნული ერთიანობის კომიტეტის მმართველობა აღნიშნულია, რომ თურქეთის ახლანდელი ხელმძღვანელობის მიზანია — **„საკანონმდებლო დარჩეს მშვიდობის პრინციპებისადმი ქვეყნის შიგნით და მთელ მსოფლიოში, იმ პრინციპებისადმი, რომლებიც დიდმა ათათურქმა შეიმუშავა".**

მაგრამ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრად სელიმ სარპერის დანიშვნა, რომელიც ამ უკანასკნელ დღეებში განხორციელდა, ნათელს ხდის ყოველივეს, თუ რა ხაზი იქნება გაბატონებული თურქეთის საგარეო პოლიტიკაში. სარპერი ხომ დიდი ხნის მანძილზე თავგამოდებით იცავდა თურქეთის საგარეო პოლიტიკას გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და ნატოში.

სიცრუე, არევ-დარევა...

ამერიკელი ჟურნალისტის სტატია

□

ნაგრძობს ტყუილის თქმას სენატისათვის.

სახელმწიფო მდივანმა ჰერტერმა თავის 5 ათასი სიტყვისაგან შემდგარ შესავალ განცხადებაში აღნიშნა: „გადაწყვეტილება არ შეეჩერებინათ ფრენის ამ პროგრამის განხორციელება უმაღლეს დონეზე თათბირის მოახლოებასთან დაკავშირებით სწორი გადაწყვეტილება იყო", მაგრამ სენატორების ფულბრაიტის (დემოკრატი არკანზასის შტატიდან) და ჰორის (დემოკრატი ტენესის შტატიდან) ჯვარედინი დაკითხვის დროს ჰერტერმა აღიარა, რომ ასეთი გადაწყვეტილება არ შეეწყვიტათ ფრენა, არ ყოფილო.

„იყო თუ არა მიღებული ასეთი გადაწყვეტილება?" — ჰკითხა თავმჯდომარე ფულბრაიტმა.

„ამას ვერ გეტყვით", მიუგო სახელმწიფო მდივანმა. „მე ამაში მონაწილეობა არ მიმიღია".

„არავითარი პოზიტიური გადაწყვეტილება არ შეეჩერებინათ ფრენა მიღებული არ ყოფილა — ასეა ხომ?" — ჰკითხა ფულბრაიტმა.

„მე ვფიქრობ, რომ ეს ასეა", — მიუგო ჰერტერმა, მიუხედავად იმისა, რომ თავის შესავალ განცხადებაში იგი საწინააღმდეგოს ამბობდა.

უფრო გვიან სენატორმა ჰორმა უფრო დააზუსტა:

„მონაწილეობდით თუ არა თქვენ თათბირში, თუ იცოდით და გადაწყვეტილების შესახებ..., რომლის თანახმად ფრენა შეწყვეტილი არ იქნებოდა?"

„ეე არ ვიცი არავითარი თათბირი, რომელზეც განხილებოდა ეს საკითხი", — მიუგო სახელმწიფო მდივანმა.

ეი ნაწილობრივ ის გასაოცარი ისტორია, რასაც ახლა უარყოფენ და, უეჭველია, კვლავ უარყოფენ, მაგრამ რომელიც, მიუხედავად ამისა, ოფიციალური პირების მტკიცებით, რომელთაც ამასთან დამოკიდებულება აქვთ, მართალია.

მის შემდეგ, რაც პრეზიდენტმა სთხოვა ჯონ ჰეგერტს (თეთრი სახლის მდივანი პრესის საკითხებში. — **რედ.**) გამოეცხადებინა პარიზში, რომ მან შეაჩერა თვითმფრინავის „უ-2" ფრენა 12 მარტს ბრძანებით თავდაცვის მინისტრის ჰეიტსისა და გენერალ ნათან ტუაინინგის სახელზე, პენტაგონმა დაიწყო ამ ბრძანების ძებნა. იგი ვერ იპოვნეს. უფრო მეტიც, ვერც თავდაცვის მინისტრმა ჰეიტსმა და ვერც გენერალმა ტუაინინგმა ვერ გაიხსენეს ასეთი ბრძანება.

პენტაგონმა იფიქრა, ყველაფერი კვლავ დაიხლართოთ, და წამოყენებულ იქნა ვარაუდი, რომ ბრძანება სადღაც მიაგდეს. პენტაგონის წარმომადგენლები წავიდნენ თეთრ სახლში, რომ გაეგოთ, თუ როდის იყო ეს ბრძანება გაცემული და რაგვარად.

მაშინ თეთრი სახლის წარმომადგენლებმა მიმართეს პრეზიდენტს და მან განმარტა, რომ ეს ბრძანება გასცა სიტყვიერად მანამდე, სანამ თვითმფრინავს „უ-2" რუსეთში ჩამოაგდებდნენ.

ეს, რა თქმა უნდა, პირდაპირ ეწინააღმდეგება სახელმწიფო მდივნის ჰერტერის განცხადებას, რომ მიღებული იყო გადაწყვეტილება „არ შეეჩერებინათ ამ პროგრამის შესრულება". მაგრამ ამას შეუძლია აგვიხსნას ჰერტერის უფრო გვიანდელი აბნეულობა, როცა მან სენატორებს უთხრა, არ ვიცოდი ნამდვილად იყო მიღებული ასეთი გადაწყვეტილება თუ არაო.

ყოველ შემთხვევაში ვერც თავდაცვის მინისტრს ჰეიტსს, ვერც გენერალ ტუაინინგს ვერ გიხსენებია პრეზიდენტის რაიმე სიტყვიერი ბრძანება თვითმფრინავის „უ-2" ფრენის შეწყვეტის შესახებ. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მან თავისი ბრძანება გასცა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე და ამიტომ გადაათვალიერეს საბჭოს ოქმები. ასეთი ჩანაწერის პოვნა არ მოხერხდა და არ ყოფილა აგრეთვე ჩანაწერი 12 მაისის რაიმე ბრძანების შესახებ თვითმფრინავის „უ-2" ფრენის შეწყვეტის გამო. ალბათ ეს გამოიგონეს პარიზში მას შემდეგ, რაც დე გოლმა და მაკმილანმა მოითხოვეს, რომ ასეთი ფრენა შეეწყვიტათ.

ყველაფერი ეს ასურათებს არევ-დარევასა და კოორდინაციის არქონას ამ მომენტში, როცა ახლანდელი მთავრობა ძნელი გზით მიბორძიკებს მშვიდობისაკენ, რომლის იმედიც ყველას აქვს".

ქ-ნ იპონის წერილი

ამერიკული ჟურნალისადმი

ნიუ-იორკი, 1 ივნისი. (საკდესი). ამერიკის ჟურნალმა „ლედის ჰოუმ ჯორნალმა" გამოაქვეყნა საიერუს იტონის მეუღლის ქ-ნ იტონის წერილი, რომელშიც იგი მოუწოდებს ამერიკელ ქალებს მხარი დაუჭირონ განიარაღებისა და მშვიდობისათვის. ბრძოლას.

ქ-ნი იტონი აღნიშნავს, რომ ქალები შეერთებული შტატების ყველა ნაწილიდან წერენ რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების ეროვნული კომიტეტების. თავმჯდომარეებს, „რათა განუცხადონ მათ, რომ ქალები, რომელთა ხმებიც ახლა გადამწყვეტ როლს ასრულებენ, მხოლოდ იმ კანდიდატებს მისცემენ ხმას, რომლებიც საჯაროდ უჭერენ მხარს დაუყოვნებლივ საყოველთაო განიარაღებას გონივრული კონტროლის პირობებში, უჭერენ მხარს მთელ მსოფლიოში ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვას და პატიოსან საასუხისმგებლო მიდგომას ყველა ქვეყანასთან თანამშრომლობისადმი".

პოლიტიკური კრიზისი იაპონიაში

ტოკიო, 1 ივნისი. (საკდესი). დღეს პარლამენტის ქვედა პალატაში იაპონიის სოციალისტური პარტიის საპარლამენტო ფრაქციის სხდომაზე სოციალისტმა დეპუტატებმა მიიღეს გადაწყვეტილება მოიხსნან დეპუტატის რწმენებანი მთავრობასა და მმართველი პარტიის მოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, ოლონდ ამ ძალადობის გზით ქვედა პალატას მიაღებინეს იაპონია-ამერიკის „უშიშროების ხელშეკრულება", და მოითხოვეს, რომ გადადგეს კისის მთავრობა, ხოლო პარლამენტი დათხოვნილ იქნას.

სოციალისტური პარტიის განცხადებაში, რომელიც იაპონის რადიომ გადასცა, ნათქვამია: ჩვენ, ქვედა პალატის დეპუტატებმა, გადაწყვეტეთ მოვიხსნათ დეპუტატის რწმენებანი იმ მიზნით, რომ დაუყოვნებლივ მოეღოს ბოლო ახლანდელ სავგანგამო პოლიტიკურ მდგომარეობას იაპონიაში, თავიდან ავიცილოთ უშიშროების ახალი ხელშეკრულების მიღება პარლამენტის დაშლის გზით და პარლამენტი დავაბრუნოთ ისეთ მდგომარეობაში, რომელშიც იგი უნდა ემსახურებოდეს. არა კისის კაბინეტის ინტერესებს, არამედ ხალხის ინტერესებს.

სოციალისტურმა პარტიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის ერთადერთი შესაძლებელი გადაწყვეტილება შექმნილი მდგომარეობის პირობებში.

დღეს სოციალისტურმა პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება მიმართოს დემოკრატიული სოციალიზმის პარტიას მოწოდებით მიჰბაძოს მის მაგალითს.

პროვოკაციები, პროვოკაციები...

ბერლინი, 1 ივნისი, (საკდესი). როგორც ადნის საააგენტო იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დასავლეთ საზღვარზე გახშირდა პროვოკაციული შემთხვევები, რომლებსაც მიმართავენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სასაზღვრო დაცვის მოსამსახურეები, აგრეთვე დასავლეთ გერმანიის სხვადასხვა მილიტარისტული ორგანიზაციები. გამოვიდა რა პრეს-კონფერენციაზე ზულაში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჯაშუშებისა და დივერსანტების შემოგზავნასთან ერთად დასავლეთგერმანელი პროვოკატორები ანგრევენ სასაზღვრო ნაგებობებს და შეურაცხყოფას აყენებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეებს, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სასაზღვრო რაიონების მცხოვრებლებს.

რიგის ორკესტრი თბილისში

ჩვენი სტუმრები

◊ მსუბუქი მუსიკის მოყვარულთათვის ფრიად საინტერესოა საბჭოთა კავშირში ფართოდ პოპულარული და ერთ-ერთი საუკეთესო საესტრადო კოლექტივის — „რეოს" (რიგის საესტრადო ორკესტრის) გასტროლები ჩვენს დედაქალაქში. ეს უკვე მეორეჯერ ჩამოდის „რეო" სტუმრად თბილისში, მაგრამ ამჯერად როგორც მისი შემადგენლობა, ისე რეპერტუარი ხასიათით განახლებული და შევსებულია ნიჭიერ შემსრულებელთა კადრებით და საინტერესო საესტრადო ნაწარმოებებით. წინანდელი გასტროლებისაგან განსხვავებით, რომელშიც წინა პლანზე იყო უმთავრესად საზღვარგარეთული, კერძოდ ამერიკული უტრირებული ხასიათის მუსიკა და არსებითად მიჩქმალული იყო ეროვნული მელოდიები, ამჯერად სრულიად სამართლიანად წამყვანი ადგილი უჭირავს ლატვიელ, რუს და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომპოზიტორთა საესტრადო ნაწარმოებებს.

რიგის საესტრადო კოლექტივში შესანიშნავი სოლისტები და ანსამბლია. ესენია მომღერი იანის პირვისი, პაროდისტი ჰარი გრინვეიჩი, ინსტრუმენტალური სექსტეტი, რომელიც უდავოდ მაღალი პროფესიული ოსტატობით ასრულებს პოპურის გამოჩენილი ამერიკელი კომპოზიტორის ჯორჯ გერშვინის ნაწარმოებებიდან, მაგრამ არ შეიძლება პირველ რიგში განსაკუთრებით არ აღვნიშნოთ ორკესტრის წამყვანი სოლისტი — ნიჭიერი საესტრადო მომღერალი ქალი აინო ბალინი. იგი ჭეშმარიტად მაღალი კლასის საესტრადო მომღერალია. მის მიერ პოპულარული „ლოლობაის", „დღე და ღამის" და დიუკ ელინგტონის ცნობილი „ქარავანის" შთაგონებულად შესრულებამ თბილისელ მსმენელთა მოწონება დაიმსახურა.

დ. გველესიანი.

* * *

სურათზე: მღერის აინო ბალინი.
ფოტო ვ. გინზბურგისა.

რედაქტორი დ. მჰედლიშვილი.

სახელმწიფო 3—პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხი

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა 75-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1960 წლის 30 მაისს ქალაქ კიევში.

მოგება ხვდა სესხის თოთხმეტიოე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
000065	39*)	5.000	031111	1—50	400	064569	33*)	5.000
000383	44*)	5.000	031734	48*)	5.000	064717	33*)	5.000
000437	19*)	25.000	031798	08*)	10.000	064907	24*)	5.000
002443	25*)	5.000	032339	31*)	25.000	065071	04*)	10.000
002508	01*)	10.000	034184	1—50	400	065733	1—50	400
002763	35*)	5.000	035946	42*)	5.000	065988	30*)	5.000
004016	41*)	5.000	036189	1—50	1.000	066310	42*)	10.000
005316	1—50	400	036210	1—50	400	066750	36*)	50.000
005504	06*)	5.000	036654	14*)	5.000	067123	14*)	5.000
006869	50*)	10.000	037597	1—50	1.000	068233	10*)	10.000
007419	16*)	5.000	037626	1—50	400	068467	08*)	5.000
007773	42*)	5.000	038624	19*)	5.000	068544	10*)	10.000
008440	27*)	5.000	039077	32*)	5.000	069549	07*)	10.000
009390	03*)	5.000	039558	1—50	400	071275	1—50	1.000
009552	35*)	10.000	040077	46*)	5.000	072036	19*)	10.000
009847	01*)	5.000	040587	1—50	400	074076	1—50	1.000
011363	28*)	5.000	041213	32*)	5.000	074804	23*)	5.000
012028	17*)	5.000	041276	1—50	400	075123	20*)	5.000
012386	38*)	5.000	041495	1—50	1.000	075789	22*)	5.000
012646	1—50	1.000	041792	23*)	5.000	077249	20*)	5.000
013269	11*)	10.000	042332	1—50	400	078367	1—50	400
013281	1—50	400	043403	26*)	5.000	078494	1—50	400
013562	13*)	5.000	044635	27*)	10.000	079154	1—50	400
014340	23*)	5.000	045194	44*)	5.000	079272	26*)	5.000
015915	1—50	1.000	045368	28*)	5.000	080313	26*)	10.000
015983	16*)	5.000	046195	06*)	10.000	080529	30*)	10.000
016614	24*)	5.000	046698	11*)	5.000	081171	1—50	400
018601	20*)	5.000	046742	21*)	5.000	081508	1—50	400
018633	33*)	10.000	047544	05*)	5.000	081579	28*)	10.000
019186	1—50	400	047623	33*)	5.000	081741	07*)	10.000
019350	1—50	1.000	047928	1—50	400	081750	1—50	400
019440	1—50	1.000	048902	1—50	400	081957	1—50	1.000
020104	14*)	10.000	048999	17*)	5.000	082248	1—50	400
020372	46*)	5.000	049333	1—50	400	083010	1—50	400
020503	30*)	5.000	049678	21*)	5.000	084230	22*)	5.000
020684	36*)	5.000	049772	1—50	400	084256	17*)	10.000
021373	1—50	400	049883	1—50	400	085450	11*)	5.000
021532	1—50	400	051590	1—50	400	085492	38*)	5.000
022185	1—50	400	052115	1—50	400	086868	1—50	1.000
022566	1—50	1.000	054131	11*)	25.000	089406	1—50	400
022999	33*)	10.000	054841	46*)	5.000	090553	18*)	5.000
023193	04*)	5.000	056140	09*)	25.000	090964	1—50	400
023301	1—50	400	056768	1—50	1.000	091170	01*)	5.000
023435	1—50	400	058773	1—50	400	092149	41*)	10.000
024540	48*)	25.000	059299	1—50	400	092629	1—50	400
024978	28*)	5.000	060126	50*)	5.000	092874	32*)	5.000
025552	03*)	5.000	060184	31*)	5.000	094930	11*)	5.000
026370	18*)	5.000	061067	1—50	400	094963	01*)	5.000
026466	13*)	5.000	061160	1—50	400	095376	44*)	5.000
027601	33*)	5.000	061380	1—50	400	095743	23*)	5.000
027878	29*)	5.000	061501	1—50	400	096001	1—50	1.000
028820	36*)	10.000	061899	30*)	5.000	096233	03*)	5.000
029533	02*)	5.000	061931	43*)	5.000	097445	23*)	10.000
029589	25*)	50.000	061972	1—50	400	097794	22*)	5.000
029722	45*)	10.000	062263	24*)	5.000	098326	42*)	5.000
031066	20*)	5.000	062676	1—50	400	099314	44*)	5.000
			062753	1—50	400	099563	21*)	5.000

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 400 მანეთი მოგება თვითეულს.

ცხრილში ნაჩვენებია მოგება ორასმანეთიან ობლიგაციებზე.
ასმანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა მოგების ნახევარი.
მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.
ეს ცხრილი წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომლის მიხედვით შემნახველი სალაროები აწარმოებენ მოგებათა გაცემას დადგენილი წესით გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

4 ივნისი

თეატრები: ოპერისა და **ბალეტის** — ოტელო (ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრის წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის** — ბახტრიონი (უკანასკნელი ამ სეზონში), **მარჯანიშვილის სახელობის** — იულიუს კეისარი და კლეოპატრა, **გრიბოედოვის სახელობის** — გახფოხულის ვიოლინები, **მუსიკალური კომედიის** — გახფოხულის სიმღერა (რკინიგზელთა სახლში), **ხანკულტურის** — ჯაშნიანი გული.

ტელევიზია: 18.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „ცნობისმოყვარე ბავშვთა კლუბი", 19.10 — კინონარკვევი, 19.30 — გადაცემა — „რუსთაველის სახელობის თეატრი გასტროლებზე გამგზავრების წინ", 20.00 — უკანასკნელი ცნობები, 20.10 — კონცერტალი, 20.20 — კინოვიკტორინა, 21.00 — ახალი მხატვრული ფილმი „გამოძახილი".

ამერიკელი ჟურნალისტის სტატია

□

ნაგრძობს ტყუილის თქმას სენატისათვის.

სახელმწიფო მდივანმა ჰერტერმა თავის 5 ათასი სიტყვისაგან შემდგარ შესავალ განცხადებაში აღნიშნა: „გადაწყვეტილება არ შეეჩერებინათ ფრენის ამ პროგრამის განხორციელება უმაღლეს დონეზე თათბირის მოახლოებასთან დაკავშირებით სწორი გადაწყვეტილება იყო", მაგრამ სენატორების ფულბრაიტის (დემოკრატი არკანზასის შტატიდან) და ჰორის (დემოკრატი ტენესის შტატიდან) ჯვარედინი დაკითხვის დროს ჰერტერმა აღიარა, რომ ასეთი გადაწყვეტილება არ შეეწყვიტათ ფრენა, არ ყოფილო.

„იყო თუ არა მიღებული ასეთი გადაწყვეტილება?" — ჰკითხა თავმჯდომარე ფულბრაიტმა.

„ამას ვერ გეტყვით", მიუგო სახელმწიფო მდივანმა. „მე ამაში მონაწილეობა არ მიმიღია".

„არავითარი პოზიტიური გადაწყვეტილება არ შეეჩერებინათ ფრენა მიღებული არ ყოფილა — ასეა ხომ?" — ჰკითხა ფულბრაიტმა.

„მე ვფიქრობ, რომ ეს ასეა", — მიუგო ჰერტერმა, მიუხედავად იმისა, რომ თავის შესავალ განცხადებაში იგი საწინააღმდეგოს ამბობდა.

უფრო გვიან სენატორმა ჰორმა უფრო დააზუსტა:

„მონაწილეობდით თუ არა თქვენ თათბირში, თუ იცოდით და გადაწყვეტილების შესახებ..., რომლის თანახმად ფრენა შეწყვეტილი არ იქნებოდა?"

„ეე არ ვიცი არავითარი თათბირი, რომელზეც განხილებოდა ეს საკითხი", — მიუგო სახელმწიფო მდივანმა.

ეი ნაწილობრივ ის გასაოცარი ისტორია, რასაც ახლა უარყოფენ და, უეჭველია, კვლავ უარყოფენ, მაგრამ რომელიც, მიუხედავად ამისა, ოფიციალური პირების მტკიცებით, რომელთაც ამასთან დამოკიდებულება აქვთ, მართალია.

მის შემდეგ, რაც პრეზიდენტმა სთხოვა ჯონ ჰეგერტს (თეთრი სახლის მდივანი პრესის საკითხებში. — **რედ.**) გამოეცხადებინა პარიზში, რომ მან შეაჩერა თვითმფრინავის „უ-2" ფრენა 12 მარტს ბრძანებით თავდაცვის მინისტრის ჰეიტსისა და გენერალ ნათან ტუაინინგის სახელზე, პენტაგონმა დაიწყო ამ ბრძანების ძებნა. იგი ვერ იპოვნეს. უფრო მეტიც, ვერც თავდაცვის მინისტრმა ჰეიტსმა და ვერც გენერალმა ტუაინინგმა ვერ გაიხსენეს ასეთი ბრძანება.

პენტაგონმა იფიქრა, ყველაფერი კვლავ დაიხლართოთ, და წამოყენებულ იქნა ვარაუდი, რომ ბრძანება სადღაც მიაგდეს. პენტაგონის წარმომადგენლები წავიდნენ თეთრ სახლში, რომ გაეგოთ, თუ როდის იყო ეს ბრძანება გაცემული და რაგვარად.

მაშინ თეთრი სახლის წარმომადგენლებმა მიმართეს პრეზიდენტს და მან განმარტა, რომ ეს ბრძანება გასცა სიტყვიერად მანამდე, სანამ თვითმფრინავს „უ-2" რუსეთში ჩამოაგდებდნენ.

ეს, რა თქმა უნდა, პირდაპირ ეწინააღმდეგება სახელმწიფო მდივნის ჰერტერის განცხადებას, რომ მიღებული იყო გადაწყვეტილება „არ შეეჩერებინათ ამ პროგრამის შესრულება". მაგრამ ამას შეუძლია აგვიხსნას ჰერტერის უფრო გვიანდელი აბნეულობა, როცა მან სენატორებს უთხრა, არ ვიცოდი ნამდვილად იყო მიღებული ასეთი გადაწყვეტილება თუ არაო.

ყოველ შემთხვევაში ვერც თავდაცვის მინისტრს ჰეიტსს, ვერც გენერალ ტუაინინგს ვერ გიხსენებია პრეზიდენტის რაიმე სიტყვიერი ბრძანება თვითმფრინავის „უ-2" ფრენის შეწყვეტის შესახებ. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მან თავისი ბრძანება გასცა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე და ამიტომ გადაათვალიერეს საბჭო